# დროება

## ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 17 შაბათი, 23 იანვარი 1910 წ. № 17

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახება ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. [illegible]

რედაქციის ადრესი: ტფილისი [illegible] N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА".

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებითი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



ჟურნალ „ნაკადულის" რედაქცია გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ და ქართველ საზოგადოებას, რომ ხუთშაბათს, 21 იანვარს, გარდაიცვალა ჟურნალის რედაქტორი

მარიამ ივანეს ასული დემურიასი.

პანაშვიდები დღეს 22 და ხვალ 23 იანვარს წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში (ჩუღურეთში) საღამოს 6 საათზე. დაკრძალვა კვირას, 24 იანვარს კუკიის სასაფლაოზე. (3—2)

---

მეგობარნი და ამხანაგნი გულითადის მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას

მარიამ ივანეს ასულის დემურიას

გარდაცვალებას. პანაშვიდები ყოველდღე, საღამოს 6 საათზე, წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში (ჩუღურეთში) დაკრძალვა კვირას, 24 იანვარს. (3—2)

---

ზუბალაშვილების სახლთან არსებულ **ქართულ წარმოდგენების მმართველ წრის გამგეობა** მწუხარებით აუწყებს წრის წევრთ და საზოგადოებას, რომ 21 იანვარს ქალაქ ტფილისში უეცრად გარდაიცვალა გამგეობის თავმჯდომარე

მარიამ ივანეს ასული დემურია,

დაკრძალვა კვირას, 24 იანვარს, კუკიის სასაფლაოზე. პანაშვიდი დღეს, საღამოს 6 საათზე, წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში (რიყის ქუჩა, ჩუღურეთი). (2—2)

---

ზუბალაშვილების სახლთან არსებულ **ქართულ წარმოდგენების მმართველ წრის გამგეობა** მწუხარებით აუწყებს წრის წევრთ და საზოგადოებას, რომ 21 იანვარს ქალაქ ტფილისში უეცრად გარდაიცვალა გამგეობის თავმჯდომარე

მარიამ ივანეს ასული დემურია.

დაკრძალვა კვირას, 24 იანვარს, კუკიის სასაფლაოზე. პანაშვიდი დღეს, საღამოს 6 საათზე, წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში (რიყის ქუჩა, ჩუღურეთი). (2—1)

---

**მიხეილ** და **ივანე ვასილის ძენი დემურიები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, მათის ძვირფასის დედის

მარიამ ივანეს ასულის დემურიას

მოულოდნელ გარდაცვალებას.

---

ქვრივი **კესარია ოტიას ასული ახობაძისა, სიმონ ათანასეს ძე ახობაძე** მეუღლითურთ, **ფედოსი ათანასეს ასული ხარებავასი, ოლია პორფილეს ასული ბერიძისა, ნინო პორფილეს ასული გველესიანისა, ალექსანდრე** და **გიორგი პორფილეს ძენი ახობაძენი, გიორგი როსტომის ძე ბერიძე** და **ტერენტი გიორგის ძე გველესიანი** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ტრაგიკულად გარდაცვალებას: პირველი—საყვარელ მეუღლის, მეორენი—ძმისა, მესამენი—დაუვიწყარ მამის და მეოთხენი—სიმამრის

პორფილე ათანასის ძის ახობაძისას.

ცხედრის წასვენება მოხდება სადგ. ჩაქვიდან დაბა სამტრედიაში 24 იანვარს, კვირას, სადაც დაკრძალვა დანიშნულია სამშაბათს, 26 იანვარს. (1—136—1)

---

**ილარიონ გაბრიელის ძე კვაჭაძე** შვილებითურთ, **ნიკოლოზ მიხეილის ძე კობიაშვილი** და მეუღლე მისი **ქეთევან ნიკოლოზის ასული** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა უდროვოთ გარდაცვალებას: პირველი—ძვირფას მეუღლის, მეორენი—შვილის

ნინო ნიკოლოზის ასულის კვაჭაძისას.

დაკრძალვა 23 იანვარს ქ. დუშეთში. (1—ტტ.—1)

---

შაბათს, ამა იანვრის 23-ს

საარტისტო საზოგადოების საკონცერტო დარბაზში გაიმართება

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

სასარგებლოდ

სალიტერატურო-სამუსიკო

საღამო

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი კნ. გურამიშვილისა, ეკ. ივ. პოლტარაცკისა, ბ-ნნი ვიქ. რ. ვილმაუ, ივ. სარაჯიშვილი, ბრონ. ი. სლიუსარსკი, ს. მგალობლიშვილი, ნ. ქართველიშვილი, ვ. ურუშაძე.

ქართული და ევროპიული ცეკვა

ნაშუალამევის 2 საათამდის

ადგილების ფასი 3—1 მან. ბილეთები იყიდება წ.-კ. საზოგადოების კანცელარიაში.

დასაწყისი 8½ საათზე. (8—8)

---

**მცხეთის დედათა მონასტრის ოთხ-კლასიან ქალთა სასწავლებლის სასარგებლოდ კვირას, 24 იანვარს, გაიმართება**

საღამო

1. ბ-ნი **გ. გ. გვაზავა** წაიკითხავს ლექციას: „ნორა იბსენისა.—ევოლუცია ქორწინებისა და თავისუფლება პიროვნებისა.—ოჯახი და მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა.

2. **დივერტისმენტი:** სიმღერა, ლექსები, კუპლეტები.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნ მიტკევიჩ-იანოვსკაია (შეასრულებს ქართულ რომანებსაც), ბ-ნნი საკოლსკი, გედევანოვი, კავსაძე თავის ხორით, პ. ფალიაშვილი, ნ. ერისთავი, გოცირიძე, გრიშაშვილი და სხვანი.

3. ცეკვა-თამაში

დაუკრავს მუსიკა და საზანდარი.

ბილეთების ფასი 1 მ., მოსწავლეთათვის 50 კ. დასაწყისი რვა საათზე.

საღამო გაიმართება **ქალაქის ბირჟის ზალაში**, ერევნის მოედანთან.

(4—3) საღამოს დიასახლისი **კნ. დ. ჯავახიშვილისა.**

---

კვირას, 24 იანვარს, დილის 10 საათზე, ბირჟის დარბაზში (შუაბაზარი) დანიშნულია **ტფილისის ვაჭარ-მრეწველთა საზოგადოების წევრთა**

დამფუძნებელ კრების

გაგრძელება. (2—138—1)

---

კვირას, 24 იანვარს, დილის 11 საათზე, სამეურნეო ბანკის დარბაზში დანიშნულია ქართულ დრამატიულ საზოგადოების

საზოგადო საგანგებო კრება

განსახილველი საგნები: 1. დრამ. საზ. გამგეობის მოხსნება საპენსიო თანხის დაარსების შესახებ; 2. გამგეობის სამის წევრისა და ერთის კანდიდატის არჩევა; 3. მიღება ახალ წევრთა.

თუ საკმაო რიცხვი წევრთა არ გამოცხადდა, კრება გადიდება შემდეგ კვირისათვის. (2—1)

---

**წარმოდგენა № 29.** ქართული თეატრი **წარმოდგენა № 29.**

**კვირას, 24 იანვარს 1910 წელს.**

**პირველი გასტროლი ნინო ჩხეიძისა**

ქართულ დრამატიულ საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

**ალ. დიუმას-შვილის პიესა.**

მარგარიტა გოტიე

დრამა 5 მოქმედებად თარ. დ. მესხისა.

**მარგარიტას როლს შეასრულებს ნინო ჩხეიძე.**

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, მ. მდივანი, ბ. ნებიერიძისა, ნ. ჯავახიშვილი, პ. მოთამე; ბ-ნნი კ. ანდრონიკაშვილი, გომელაური, გ. გედევანოვი, ი. ზარდალიშვილი, მგალობლიშვილი, იმხნელი.

**ადგილების ფასები ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.**

მზადდება წარმოსად. ვ. ყიფიანის „სამეგრელოს მთავარი ლევან", ამ პიესისათვის იხატება ახალი დეკორაციები, ი. გომართლისა „დრამატიული გამგეობის წევრი", შოლომ აშის, „შურის ძიების ღმერთი".

რეჟისორი **კოტე მესხი.** რეჟის. თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

**დრამ. საზოგადოების ადმინისტრაცია.**

---

ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე ვ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ.- და პარას. 1—2 ს. დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ.,

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2-ნახ. ს.

**ფირალოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

**პაპოვი ბ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

**რცხილაძე. ნ.** კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

**სობოლევსკი გ. ვ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (100—ნ.—91)

---

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**ვ. ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—2½ ს. თვალისა.

**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტეოროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—253)

---

ძმ. ნიკიტინების ცირკი.



(1—135—1)

შაბათს, 23 იანვარს, 1910 წელს, **ჩვენი შაბათები. დღეიდან დაიწყება ჭიდაობა. საერთა-შორისო ჩემპიონატი.** ჭიდაობა მოაწყო ცნობილმა სპორტსმენმა პ. დ. იაროსლავცევმა. პრიზები დანიშნულია 5000 ფრანკი, საპატიო შარფი, ოქროსა და ვერცხლის მედლებია. მატჩები ცალკე პრემიებზე იმ მოჭიდავეთათვის, რომელნიც 1 თეჰერვლის შემდეგ ჩაეწერებიან. ჭიდაობა გასტანს მხოლოდ 30 დღეს. დღეს სამი ჭიდაობა: 1. **შევალიე—კორშუნოვი;** 2. **მანკო—მურზუკი;** 3. **იანოშ ჩაია—კრასაცი.** მოჭიდავების გამოსვლა და ჭიდაობა მოხდება მე-3 განყოფილებაში

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

დაწვრილებით პროგრამებში.

**ანონსი:** კვირას ორი წარმოდგენა. დღისით დაკლებულის ფასებით. დასაწყისი 2 საათზე.

დირექტორი **ა. ნიკიტინი.** გამგე **გამსახურდია.**

---

სახალხო უნივერსიტეტი

(სახალხო სახლი ზუბალაშვილისა)

კვირას 24 იანვარს **რ. ი. პრავიკოვი** წაიკითხავს ლექციას შემდეგი პროგრამით: პოეტის იდეალი პუშკინის ნაწარმოებიდან

„პროროკი"

ამ იდეალის განვითარება და დამატება **ლერმონტოვის, როზენგეიმის, ნეკრასოვის, დობროლიუბოვის, იაკუბოვიჩის, მინსკის, ბრიუსოვის და ნადსონის** ნაწერებიდან ლექტორი წაიკითხავს სუყველა ავტორების ლექსებს. ლექციის შემდეგ გაიმართება

კონცერტი

მონაწილეობას მიიღებენ: ქ. მინკევიჩი, სოლოვიანი, ვეიცი. ბ. ბ. შებუევი, დავიდოვი, ტიროციანი, შახატუნი.

დასაწყისი დილის 11 საათზე. ფასები: პარტერი 10 კ. ბალკონი 5 კ.

ბილეთები იყიდება ყოველ დღე როგორც კასაში ისე რკინის გზის სახელოსნოში: „სბორნი" ცეხის კანტორაში ი. მამაცევთან, „ტოკარნი" ცეხში ს. ჩიკვაიძესთან, „ვაგონნი" ცეხში კ. გოგუასთან, „პარავოზების" დეპოში ნ. იასტრებოვთან, ვაგონის პარკში კ. ოტტო, საქონლის სადგურში გ. ფილია, ტრამვაიში არლიძე და ენფიანჯიანცის ფაბრიკაში ვ. კალანდარიშვილი, შრომის სტამბაში ნესტორ ცინცაძესთან. (1—1)

---

**მარიამ ივანეს ასულის**

დემურიას

პატივსაცემლად მზადდება გვირგვინი ჟურნალ **„ნაკადული"**-ს პატარა მკითხველების სახელით. ვისაც ჰსურს მონაწილეობის მიღება, ვთხოვთ, თავისი წვლილი მიაწოდონ ჟურნალ „ნაკადული"-ს რედაქციას დღეს დილით. 9 ს. ნაშუადღევის 3 საათამდე. (1—1)

---

ქუთაისში

კბილის ექიმის **დ. ხ. რიჟინაშვილის** კაბინეტთან **გაიხსნა**

სამკურნალო

პირისა და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნებართვა მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. **ვიტუშინსკის** აფთიაქის გვერდით. (100—ნ.—89)

---

ქუთაისში **ექიმი გაბ. იოს. გოკიელოვი**

დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 ს. და საღამოთი 5½—6½ ს. ვენერიულ სნეულებით ავადმყოფების მიღება და აგრეთვე **ცისტოსკოპია და ურეტროსკოპია** (ელექტრონის სინათლის საშუალებით ბუშტების და საშარდე მილის გასინჯვა) საღამოს 6½—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა. ელექტროთერაპია—ელექტრონის ვიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (25—ავ.—14)

---

ექიმი **ზ. მიქელაძე**

**იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ.** საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, კაბგეროვის ქუჩა N 17, პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. (0—7)

---

ექიმი **კ. თ. ტყეშელაშვილი**

**ქუთაისში**

იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ, შარდის და კანის** სნეულებით ავადმყოფთ. დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (ქარხანა). (25—ავ.—5)

---

**სპეციალისტი ექიმი ქუთაისში**

**ჩარექოვი**

იღებს განსაკუთრებით **სიფილისიან, ვენერიულ და კანით** ავადმყოფებს. ილია ჭავჭავაძის ქუჩა (გეგუთის ქუჩა), აბულაძის შესახვევი, ივსელიანის სახლი. დილით 12—2 ს. საღამოთი 6 საათზე. 25—ფ.—20

---

ექიმი **დ. ახვლედიანი**

იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ

---

ექიმი **კბილისა ქუთაისში**

**ნ. ა. დემიდოვი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდროწის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—349)

---

ექიმი **გ. მამაკიანი**

**შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა.** ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 6—6 ს, მიხეილის პრ., N 36, სახ. ჭავჭანიძისა. (100—ზაღ.—78)

---

ექიმი **კბილისა**

**ალ. სოლოლაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

---

ექიმი **ე. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 ყოფილი კირპიჩნაია). (0—41)

---

ექიმი **ა ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

---

ექიმი **კბილისა**

**ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

---

კაბინეტი **ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—82)

---

ექიმი **ვ. ლამბაშიძე**

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ

---

ექიმი **ვ. ს. მუსხელიშვილი**

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. გრიბოედოვის ქ., № 9. (უ)


---

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

22 იანვარი.

## საზღვარ-გარედ

**ლონდონი.** „ტეიმს" სტამბოლიდან ატყობინებენ: ხმა დადის, ოსმალეთის მთავრობამ სახელმწიფოებს შეატყობინა, თუ კრიტელებმა საბერძნეთის ეროვნულ კრებაზე თავისი წარმომადგენლები გაგზავნეს, ჩვენი უფლებების დასაცველად ყოველნაირ ზომებს ვიხმართო. „ტეიმსი" სწერს, რომ ოსმალეთი თავის უფლებების დაცვას სხვა სახელმწიფოებს არ ანდობს. გაზეთი სწერს: ოსმალეთის მოქმედება უფრო გააღრმავებს ისედაც აწეწილ დაწეწილ საქმეებს. სახელმწიფოები სცდილობენ, რომ მშვიდობიანობა არ დაირღვეს. რუსეთის და ავსტრიის მომავალი დაკავშირება სწორედ ამის მომასწავებელიაო.

**ვაშინგტონი.** პირმა წინადადება მისცა ეროვნულ საგეოგრაფიო საზოგადოებას, შემოდგომაზე ჩრდილოეთის პოლიუსზე ექსპედიცია გაგზავნეთო. ექსპედიციის უფროსად პირი არ უნდა იყვეს. საზოგადოებამ აირჩია სპეციალური კომისია, რომელიც გამოიანგარიშებს თუ რა დაჯდება ექსპედიცია.

**ლარედო** (ტეხასი). ლასენპერაციას მაღაროებში აფეთქება მოხდა, მოკვდა 56, მძიმედ დაშავდა 50 კაცი.

**ვენა.** „კორესპონ. ბიუროს" სალონიკიდან ატყობინებენ: ჯარში გაიწვიეს 20—25,000 სათადარიგო ჯარის კაცი. ალბანელ-სალდათების ერთი ნაწილი უფროსებს **არ დაემორჩილა.** მათ მიემხრო რამდენიმე ოსმალელი სალდათი. დამნაშავეებს იარაღი აჰყარეს.

**პარიზი.** წყალდიდობამ ბევრი ოჯახი დააზარალა. უმუშევართა რიცხვმა ერთი ათად იმატა. გავრცელდა სხვა და სხვა გადამდები სენი. დაზარალებულთა სასარგებლოდ საფრანგეთში შეიკრიბა 2½ მილიონი ფრანკი. ამას გარდა სხვა სახელმწიფოებიდანაც ბევრი შემოწირულება მოვიდა.

**ლარედო.** ესპერანცოს მაღაროებში სულ დაიღუპა 68 კაცი.

**ჰამბურგი.** მდინარე ელბაზედ გემი „პნეე" გემ „სუსანნას" დაეჯახა. „პნეე" ჩაიძირა. დაიღუპა 6 კაცი.

**ვენა.** ბერლინიდან ჩამოვიდა სერბიის გარეშე საქმეთა მინისტრი. მინისტრმა სთქვა: სერბია და ბოლგარია მშვიდობიანობას არ დაარღვევენ. მშვიდობიანობის დარღვევა მხოლოდ საბერძნეთის და ოსმალეთის სამხედრო—პატრიოტულ პარტიებს შეუძლიანთ. სახელმწიფოებს საკმაო დრო აქვთ თავიდან აიცილონ მშვიდობიანობის დარღვევა, რადგან საბერძნეთში ეროვნულ კრებას შემოდგომაზედ იწვევენო.

**ლონდონი.** ამას წინად ოსმალეთის ელჩმა ინგლისის მთავრობას შეატყობინა, თუ საბერძნეთის ეროვნულ კრებაში კრიტეს წარმომადგენლებმაც მიიღეს მონაწილეობა, ჩვენ იძულებული ვიქნებით შევიარაღდეთ, რადგან ეს გარემოება ომის მიზეზს იძლევაო. ეხლა გარეშე საქმეთა მინისტრმა ოსმალეთის ელჩი დაარწმუნა, რომ კრიტის მფარველი სახელმწიფოები ზომებს მიიღებენ, რომ კრიტმა საბერძნეთის ეროვნულ კრებაზედ თავის წარმომადგენლები არ გაგზავნოსო.

## სპარსეთი

**თავრიზი.** ყარადაღიდან იუწყებიან: ეფრემმა საშინლად დაამარცხა **რახიმ-ხანი.** დამარცხებულ რახი-

ხანს დაედევნენ ბაგირ-ხანი და სერდარ-ბოგადური. რახიმ-ხანი რუსეთის საზღვრისკენ გაიქცაო.

### რ უ ს ე თ ი

**პოლტავა.** ოლქის სასამართლომ გაარჩია საბალოსნო სკოლის სამი მოწაფის საქმე. ბრალდებოდათ ბოჟკოს გაცარცვა. სასამართლომ სამთავეს სხვა და სხვა ვადით კატორღა გადაუწყვიტა.

**პეტერბურგი.** სამოსამართლო პალატამ გუდოვის მაზრის უფროსს, პრინცევს 4 თვით ციხე გადაუწყვიტა. ბრალდებოდა სხვა და სხვა ბოროტმოქმედების ჩადენა.

სენატმა უყურადღებოდ დასტოვა „ჩერნომორსკოე პობერეჟიე“ რედაქტორის ლეონტოვიჩის საკასაციო საჩივარი. ლეონტოვიჩს სამოსამართლო პალატამ ერთი წლით ციხე გადაუწყვიტა.

სენატმა განიხილა ნაფიც-ვექილის შიფის საკასაციო საჩივარი. შიფმა გაზეთში ერთი წერილი დასტამბა, რისთვისაც სამართალში მისცეს. ოლქის სასამართლომ მას ორი თვით დაპატიმრება გადაუწყვიტა. სენატმა გააუქმა სასამართლოს განაჩენი და საქმე მოსპო.

**ჰელსინგფორსი.** მცხოვრებლები დიდი ინტერესით მოეკიდნენ წრევანდელ არჩევნებს. შვედელთა პარტია ძლიერ მუშაობდა. უკვე შეუდგნენ კენჭების დათვლას.

**ასტრახანი.** ნაურზალში შავი ჭირისაგან გარდაიცვალა 1 კაცი.

**პეტერბურგი.** სენატმა სამოსამართლო პალატას ხელმეორედ განსახილველად გადასცა სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად ნამყოფს ალექსანდრე სტახოვიჩის საქმე. სტახოვიჩმა ელეცკის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარეს წერილი მისწერა ოლქის სასამართლოს წევრი პურიშკევიჩი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობის დროს უკანონოდ იქცეოდა. სასამართლო პალატამ სტახოვიჩი გაამართლა.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო სათათბირო ამ მოკლე ხანში განიხილავს ადგილობრივ სასამართლოს რეფორმის შესახებ კანონ-პროექტს.

გამოქვეყნდა წესები უნივერსიტეტის თავისუფალ მსმენელ ქალების სტუდენტებთან ერთად ეგზამენებზე დაშვების შესახებ.

**ჰელსინგფორსი.** დაიწყო სეიმის არჩევნები. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 39, 130 კაცმა, ყველა ამომრჩევლების ნახევარზე მეტმა.

## პასუხი ნ. ნიკოლაძეს

წავიკითხე ბ-ნ ნ. ნიკოლაძის გრძელი წერილი,*) რომელსაც არ შემიძლიან გვერდი აუარო და მოკლე წერილი მაინც არ ვუძღვნა. მოკლე მეთქი, ვამბობ, რადგან, ჯერ ერთი, ხსენებულ წერილში ცოტა რამ არის აღსანიშნავი და, მეორე, ვეთანხმები რუსთველის აზრს: „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამად კარგი“.

არ შევეხები წერილის იმ ნაწილს, რომელიც შეიცავს კამათს თავ. ა. მ. ერისთავთან, რადგან სრულიად არ არის საინტერესო ბრძოლა საშუალო საუკუნისებურ, დროგადასულ, დაობებულ აზრებთან. ბ-ნ ნ. ნიკოლაძის იერიში კი ქუთათურ ინტელიგენციის წინააღმდეგ ღირსია აღნიშვნისა.

ბ-ნი ნ. ნიკოლაძე, არ ვიცი, რად, ძლიერ გულ-დაწყვეტილია საზოგადოდ ქართველ ინტელიგენციაზე და მეტადრე ქუთათურზე. რაც უნდა დასწეროს, უთუოდ ინტელიგენციის აუგი და ძვირიც შიგ უნდა ჩაურთოს. საჭირო რომ იყოს, მაგალითს, რამდენიც გნებავთ, მოვიყვანდი. ხსენებული წერილიც თავიდან ბოლომდის გაჟღენთილია ღვარძლით ქუთათურ ინტელიგენციის წინააღმდეგ. ქუთათური ინტელიგენცია არარაობააო, ბრძანებს ავტორი. იქნება მეც დაგეთანხმოთ, ბ-ნო ნიკოლაძე, რომ ქუთაისის ინტელიგენცია არარაობაა. მაშ რა იქნება ინტელიგენცია, ბიუროკრატიულ სკოლებში აღზრდილი და ნამდვილ ცოდნას მოკლებული!? მაგრამ ცილის წამებაა იმისი თქმა, ვითომ ქუთათური ინტელიგენცია უფრო დაბლა იდგეს, ვიდრე ტფილისისა, ფოთისა, თუნდ რუსეთისა. ქუთათურ ინტელიგენციასა აქვს იგივე ნაკლი. რაც სხვა მხრისას, არც მეტი, არც ნაკლები. ვფიქრობ, რომ ამ საგანზე მეტის თქმა საჭირო არ უნდა იყოს.

ქუთათურები ბრუილონები არიანო, მე კი დინჯი ხასიათის კაცი ვარო, ბრძანებს ბ-ნი ნიკოლაძე. ისინი ყველაფერს უარჰყოფენ, თანდა-თანობის პრინციპი არა სწამთ, უეცრად და გაურჯელად უნდათ ხელში ჩაიგდონ ბატონობა და სხ. მათი მიზანი ცარიელი ოცნებააო, მოფიქრება, შრომა, ცოდნა არა სჭირდებათო, ტვინი უშრებათ უმოქმედობითო და სხვ. მაგრამ ეს ხომ ყოველ გაუნათლებელ კაცის ბუზღუნია? რამდენჯერ მომისმენია ამგვარი დარიგება: „რა შენი საქმეა საქვეყნო იდეალისათვის თავის გამოდება? პატარა საქმეს მოჰკიდე ხელი, არც დაიღუპები და სხვასაცა არგებო“. მაშ, თქვენი ფიქრით, ბ-ნო ნიკოლაძევ, ტყუილი ყოფილა კრიტიკა, უარ-ყოფა უსამართლობისა, იდეალის დასახვა და გავრცელება?! მაშ უნდა მოვუსვათ ხელი და ერთბაშად ცეცხლი წავუკიდოთ ჩვენი საუკეთესო მწერლების ნაწარმოებს. იმათ ხომ ნავთსადგურის აშენებაზე არ უწერიათ, არც რძისა და ყველის კეთებაზე! არა, ერს თუ განმაკეთილშობილებელი პოლიტიკური იდეალი არ უძევს წინ, იგი მკვდარია: იმას ვეღარაფერი ვეღარ აღადგენს, თუნდ ასი ფოთისებური ნავთსადგური ჰქონდეს!

და, რომ რუსეთში ბრუილონები არა ყოფილიყვნენ, დღეს მესამე სათათბიროც არ გვექნებოდა და არც დემოკრატიულ ერობაზე იქნებოდა ლაპარაკი. მართალი მოგახსენოთ, პირად მე არც ეს მესამე სათათბირო მწამს და არც მის მიერ მონიჭებული ერობა, მაგრამ თვით სათათბიროს არსებობა მოასწავებს ახლანდელ წესწყობილების შეცვლის აუცილებლობის ნიშანს. და, განვიმეორებ, რუსეთი ერთ ნაბიჯსაც ვერ გადასდგამდა წინ, რომ ყველა კმაყოფილი ყოფილიყოს თავის პატარა საქმისა და არავის არ მოეთხოვოს წეს-წყობილების შეცვლა.

როგორც სხვა წერილებში, აქაც იქადის ბ-ნი ნ. ნიკოლაძე, რევოლიუციონერი არა ვარო. მე ვარ ევოლიუციონისტიო. არასოდეს პარტია არა მყოლია და არც ვცდილვარ ლიდერობასაო; ჩემი ფიქრით, ვინც მოინდომებს, ყველას მიუწვდება ხელი ამ მაიმუნობაზეო; რომ მნდომოდა, ყოველთვის ვიშოვიდი რამდენსამე თორმეტ უსაქმო კაცს და საითკენაც მოვინდომებდით იქითკენ ვუკრავდი თავსაო. სცდებით, ბ-ნო ნიკოლაძე! გარწმუნებთ, ვერ იშოვიდით. და, თუ იშოვიდით, მაშინ ნიკოლაძე არ იქნებოდით. მერე: ევოლიუციონისტი ვარო, რომ ბძანებთ, ვინ გემდურებათ ამისთვის?! მხოლოდ იმას კი არ გაპატიებენ, რომ მედიდურად მოიხსენიოთ განმათავისუფლებელ მოძრაობის გმირები. არავის არა აქვს უფლება მოგთხოვთ საგმირო მოქმედება, მაგრამ იმ ბრძოლის, რომელიც ჩვენ გინვიცადეთ, და მისი გმირების უარ-ყოფა კი არ მოგეტევებათ, რადგან ბალღმაც კი იცის, რომ დღევანდელი პროგრესსი რევოლიუციების ნაყოფია.

რაც შეეხება თქვენს პროექტს, ნურაფერს უკაცრავად, თუ იმას ბიუროკრატიულზე უფრო ბიუროკრატიული ვუწოდოთ. თქვე დალოცვილო, სამაზრო ერობა უარ-ჰყავით, შეთხზეთ რაღაცა პაწაწა ერთეული და სოფლის მთელი ბედ-ბედი მამასახლისს ჩაუგდეთ ხელში?!. ტყუილა მოგყავთ ციტატები მემარცხენეთა პროექტებიდან, რადგან სრულიად უარ-ჰყოფენ თქვენს უცნაურ პროექტს, მემარცხენენი მოითხოვენ, რომ პოლიცია ემორჩილებოდეს ერობას, და არა მამასახლისის ბატონობას. ხსენებულ ციტატებიდანა სჩანს, რომ თქვენი მომხრენი მარტო შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელნი ლიტვინოვი და სტრახოვსკი ყოფილან. ისინი აცხადებენ, რომ ისპრავნიკი („მაზრის უფროსი“), მამასახლისის უფროსი აღარ იქნებაო და აღარც ექნება უფლება დამწყვდევის ან დაჯარიმების დისციპლინალურ მხრითო. მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს მათ აღთქმას?! განა ცოტა გვახსოვს აღთქმა და დაპირება, რომ მეორე წამსვე დაურღვევიათ?!

მაგრამ, ვთქვათ, მართალს ამბობენ ლიტვინოვი და სტრახოვსკი: მამასახლისი იქნება ერობის თავი და იმავე დროს „უეზდნი ნაჩალნიკისაგან“ დამოუკიდებული პოლიციელი. მაშინ უთუოდ გუბერნიის უფროსი უნდა იყოს მამასახლისის, როგორც პოლიციელის, პირდაპირი უფროსი, რადგან პოლიციაში, როგორც ჯარში, დისციპლინა აუცილებელია. მაშასადამე, ერობა კვლავ ადმინისტრაციის ხელში დარჩება.

და თუნდ სასწაულიც მოხდეს და მესამე სათათბირომ და სტოლიპინმა მამასახლისი, როგორც ერობის თავი, სრულიად დამოუკიდებელ ჰყონ ადმინისტრაციისაგან და დაუმორჩილონ მარტო სასამართლოს და იმავე დროს პოლიციური მოვალეობაც მიანდონ, აშინაც უცნაური და საზიანო წესი იქნება. მამასახლისი, ეკონომიურ საჭიროებათა გამგე და თან დამოუკიდებელი პოლიციელი, რომელსაც უფლება ექნება თავის ნებით დასაჯოს, ვინც უნდა, ხომ ნამდვილი ღვთის-რისხვა იქნება! ვინ იქნება მისი ამლაგმველი? ერობის გამგეობა?! მაგრამ მაშინ ეს გამგეობა პოლიციური დაწესებულება იქნება და არა საერობო!

არა, ბ-ნო ნიკოლაძე, მიეთ-მოეთობით ფონს ვერ გახვალთ. სწორედ თქვენზეა ზედ-გამოჭრილი, რომ ამბობენ: „საითაც გავიქეცი, იქით წავიქეცი, აბანოში შევედი, გამომყვა ქეცი“.

ვ. წ.

*) იხ. «Закавказье» N 12. „Эксплоатація темноты“.

**„დროების ხვალინდელ სურათებიან დამატების შინაარსი:“ ტენტაჟილის სიკვდილი, დრამა მეტერლინგისა,- თარგმანი თამარ ნათიშვილისა; სურათები: უსამართლობის მსხვერპლი—სურათი ლინგერისა, ჩვენი მგოსნები ვაჟა-ფშაველა და ალ. ყაზბეგი, საქართველოს ახალი ექსარხოსი ინოკენტი და ოსმალეთის ახალი დიდი ვეზირი ხაკკი-ფაშა.**

## ახალი ამბავი

### ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **ეკატერინე გაბაშვილის 40 წლის მოღვაწეობის აღნიშვნა.** ქართველ ქალთა კომისიამ ამ დღეებში მოხსენება შეიტანა წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობაში და სთხოვა, გამგეობამ ითაოს ცნობილ მწერლის ეკატერინე გაბაშვილის 40 წლის მოღვაწეობის აღნიშვნა. გამგეობამ 21 იანვარს განიხილა მოხსენება და საუმჯობესოდ სცნო ამისთვის დაარსდეს ცალკე წრე, რომელშიაც წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობა მონაწილეობას მიიღებს თავისი წარმომადგენლით. ამასთან გამგეობამ დაადგინა, ეკატერინე გაბაშვილის მოღვაწეობის აღსანიშნავად გამოსცეს მისს რჩეულ საყმაწვილო მოთხრობათა მეორე წიგნი (პირველი გამოცემულია). ამ საქმისთვის გამგეობამ გადასდო თხუთმეტი თუმანი. გამგეობა ამასთან წინადადებას შეიტანს წ.-კ. საზოგადოების წევრთა საზოგადო კრებაზე, ეკატერინე გაბაშვილი არჩეულ იქმნას საზოგადოების საპატიო წევრად.

✦ **მარიამ დემურია.** გუშინ უეცრად გარდაცვლილ მარიამ დემურიას ცხედარი გადაასვენეს ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში და იქ ხუთ საათზე გადაიხადეს პანაშვიდი. გასვენებას და პანაშვიდს დაესწრნენ პატივისმცემელნი და მეგობარნი. წერა-კითხვის საზოგადოებამ დაადგინა, გვირგვინით შეამკოს განსვენებულის კუბო. პანაშვიდი გადახდილ იქნება კიდევ დღეს, საღამოს ექვს საათზე.

✦ **კერძო თათბირი.** გუშინ, 22 იანვარს, მოხდა შეერთებული სხდომა ტფ. ქალაქის გამგეობისა და საფინანსო კომისიისა. განხილულ იქმნა რამდენიმე საკითხი მერიზე საობლიგაციო სესხის განაღდების შესახებ. სხდომამ დაადგინა, მოიწვიოს ხმოსნები კერძო თათბირზე ამ სესხის რეალიზაციის შესახებ მოსალაპარაკებლად.

✦ **ლექცია და წარმოდგენა.** 21 იანვარს ტფ. სახალხო უნივერსიტეტის გამგეობამ დაადგინა: გამართოს საჯარო ლექცია სახალხო სახლში თებერვლის პირველ რიცხვებში, მიანდოს მ. კ. როხლინს, მოელაპარაკოს რუსულ დრამატიულ საზოგადოებას, რომ სახალხო სახლში დაუთმოს ერთი საღამო, მიანდოს არაქელიანცს, სთხოვოს სომხურ დრამატიულ საზოგადოებას ერთი დღის დათმობა (ქართულ დრამატ. საზოგადოებას გაუწყრნენ). წარმოდგენა და ლექცია უნივერსიტეტის სასარგებლოდ სახალხო სახლში უნდა გაიმართოს არა უგვიანეს 20 თებერვლისა.

✦ **კომისიები საპრემიო თხზულების განსახილველად.** როგორც ვწერდით, განსვენებულ გრიგოლ დადიანის პრემიის მისაღებად პეტრე ჭარაიამ წ. კ. საზოგადოების მთავარ გამგეობას წარუდგინა ქართულ-მეგრული ლექსიკონი. გამგეობამ 21 იანვარს დაადგინა, არჩეულ იქნას სამი კომისია, პრემიის წესების თანახმად—საისტორიო, საფილოლოგიო და სამწერლო და ამ კომისიებს დაევალოთ თხზულების ყოველ მხრივ განხილვა და დაფასება. საისტორიო კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ ე. ს. თაყაიშვილი, დეკ. კ. ცინცაძე და ს. გორგაძე; საფილოლოგიო — იპ. ვართაგავა, იუსტინე აბულაძე და მ. ჯანაშვილი, ხოლო სამწერლო—ალ. სარაჯიშვილი, ივ. გომართელი და კ. აბაშიძე. გარდა ამისა, გამგეობამ დაადგინა, გაუგზავნოს ლექსიკონი პროფ. ნ. მარრს და სთხოვოს, გამოსთქვას თავისი აზრი ხსენებულ

# ცხოვრება და ზნეობრივი იდეალი

„როცა ჩვენ მკვდრეთით აღვსდგებით“.

**6 *)**

პლატონის მეტაფიზიკურს მორალს საბერძნეთის და რომის აზროვნებაში შეიძლება არც ერთი ეთიური სისტემა არ მიახლოვებია იმდენად, რამდენადაც სტოიციზმი და ის „მსოფლიო კავშირის“ ფილოსოფია, რომელმაც ელლინთა ამაყი და უდრეკი სტოა შესცვალა ძველი საზოგადოების დაღუპვის წინა დღეებში. მკაცრი და შეურიგებელ ოპოზიცია „სიამოვნების მორალთან“ აერთებს ორივე სისტემას, აგრეთვე გულგრილობა ცხოვრებისა და მის ტურფა და სანდომს მაცდურებისადმი. მაგრამ არა ნაკლებ თვალთსაჩინოა ის მხარეები, რომელნიც სტოას ანსხვავებენ პლატონის მორალისაგან.

უდიდესი სიკეთე სტოიკური ეთიკოსთვის დამოუკიდებელი, ზნეობრივი პიროვნებაა, ხოლო საბოლოო მიზანი, რომლისკენაც ყოველი ადამიანური შეგნება უნდა მიილტვოდეს სულიერი მშვიდობა, გარეგნულ ბორკილისაგან განთავისუფლება და თავის თავით კმაყოფილება. გარეგნული ღირებულებანი თავის თავად არც სიკეთენი არიან და არც ბოროტებანი: სიმდიდრეს, მატერიალურს კეთილდღეობას, ჯანსაღობას, გვარიშვილობას, ოჯახს და ეროვნებას არავითარი მორალური ფასი არა აქვს შეგნებული პიროვნების დამოუკიდებლად, რომელსაც შეუძლია მათი საშუალებით თავისი შინაგანი ბუნება გაშალოს. მხოლოდ ხასიათის, მხოლოდ შინაგანი მეს დაფასება შეიძლება ზნეობრივად, მხოლოდ ის შეიძლება ჩაითვალოს სამართლიანად ბოროტად ან კეთილად. თვით ეთიური მოქმედების ფასიც ამ შეგნებულს მეზეა დამოკიდებული: დასადასტურებელი მხოლოდ ისეთი მოქმედებაა, რომელსაც კეთილშობილი ხასიათი უძევს საძირკვლად და უარსაყოფი ისეთი, რომელიც საძრახ მოსაზრებიდან გამომდინარეობს, თუმცა შეიძლება პირველმა გარეგნულად საზარალო შედეგები გამოიწვიოს, ხოლო მეორემ სასარგებლო. არა მოქმედება, არამედ ხასიათია ობიექტი ზნეობრივი გასამართლებისა.

არსებითად ეს გასამართლება მდგომარეობს უბრალო ფაქტების აღნიშვნაში და არა აღშფოთებაში იმის გამო, რომ არსებული არ ეთანხმება სავალდებულოს. რაც არსებობს, არსებობს გარდაუვალის აუცილებლობით და ბრძენს, რომელმაც ეს გარემოება შეიგნო, შეჰშვენის თავი მოიხაროს „ფატუმის“ წინაშე. ერთხელ და სამუდამოდ მიჩენილი ბუნების თანახმად მოქმედებაა ამიტომ შინაარსი ყოველი მორალისა. ადამიანის ბუნებაში კი ბოროტების დაუშრეტელი წყარო ვნებათა ღელვანი და აფექტები არიან: სიამოვნება, ნდომა, გულისთქმა, ჰმუნვარება, შიში და სხ.—ავადმყოფობანი სულისა, რომელთ მოსპობა მიაღწევინებინებს მას ზნეობრივს ჯანმრთელობას და ბუნებრივობას ე. ი. აპატიასა. გონების შეუზღუდავი ბატონობაა ზნეობის საძირკველი და იგივე ანიჭებს ადამიანს ბედნიერებასაც, რომელიც უნდა ჩაითვალოს არა ზნეობის მიზნად, არამედ მის აუცილებელს შედეგად. დამოუკიდებლობა გარეშე მდგომარეობისაგან, არარად მიმჩნევა ბედისწერის გულუხვობისა და უწყალობისა, განმარტოება ამ სოფლის მოუსვენარი ცხოვრებისაგან, სულიერი მშვიდობიანობა, უმოქმედო რეზიგნაცია და თავის მოკვლა თუ ეს მარტოობა და მშვიდობა დაირღვა და მისი ხელახლა მოპოება შეუძლებელია—აი ის გზა, რომლითაც სტოა ჰფიქრობდა ეთიური იდეალის მიღწევას და მასთან ერთად ბედნიერების მოპოებასაც, რომელიც მისი შეხედულებით ზნეობის გარეშე არსად არსებობს. როგორც თითქმის ყოველგან, ისე აქაც ეს გადაჭარბებული ინდივიდუალიზმი უერთდება უკიდურესს კოსმოპოლიტიზმს, სოფლიო მოქალაქეობრივობის იდეას და იმ ბუნებრივს კავშირთა უარყოფას, რომელშიც ადამიანი სდგას ყოველი ლოგიკური აბსტრაქციების მიუხედავად. რადგან სტოიციზმისთვის გონება და ზნეობა ადამიანების უმნიშვნელოვანესი გამოხატულება არის და რადგან ამ მხრივ ის საყოველთაო თანასწორობას აღიარებს, გასაკვირალი არ არის, რომ მისთვის მხოლოდ მეგობრობას აქვს ფასი და მნიშვნელობა, მჭიდრო სულიერს კავშირს, დამოუკიდებელს ყოველს სქესობრივს, ოჯახურს, ეროვნულს ან სხვა სოციალურს გრძნობათა და ზღუდეებისაგან.

ორმხრივი ძლიერ მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა ბერძნების მიერ შემუშავებულმა სტოიკურმა იდეალმა და მორალმა, როცა ის ისტორიულმა ბედმა რომაულს ნიადაგზე გადაიტანა და ორივე ეს ცვლილება ახალი ეროვნული კულტურის პირობებისაგან გამომდინარეობდა აუცილებლად. რომაელების ეროვნული სული უფრო მოუხეშავი იყო, შეუდრეკელი ნათელს ლოგიკურს აზროვნებაში, უშიშარი ერთხელ არჩეულ გზაზე მსვლელობაში და წინასწარ მოსაზრებისაგან დასკვნების გამოყვანაში, შეუბრალებელი და უკან დაუხედავი ერთხელ წინ დაყენებულ მიზნების მიღწევაში. ის უფრო უნიჭო იყო, ვიდრე ელლინთა ხალხი მშვენიერი ფანტაზიის სფეროში, ნაზს და მიუწდომელს გრძნობათა განცდაში, ხელოვნურს და ფილოსოფიურს შემოქმედებაში, მაგრამ სამაგიეროდ შესამჩნევად სჭარბობდა მას პრაქტიკულს რეფლექსიაში და პიროვნულ უფლებრივს შეგნებაში. ჭეშმარიტება დამოუკიდებელი სარგებლობისაგან და მშვენიერება დამოუკიდებელი სიამოვნებისაგან მას ნაკლებად აინტერესებდა. პიროვნული ღირსების შეგნება და ოჯახური გრძნობა მას ბევრად უფრო ჰქონდა განვითარებული, ვიდრე ეროვნული და სოციალური შემეცნება და მისი ლითონისებრ გამოკვეთილი ინდივიდუალობა განუწყვეტლივ ყოველს ეროვნულ და სარწმუნოებრივს ზღუდეების გადალახვას ლამობდა. რწმენაშიაც ის ადვილად ეთვისებოდა სხვის ღმერთებს და თაყვანს სცემდა მათ, თუ ეს არ ეწინააღმდეგებოდა მის ეგოიზმს, მის გაუმაძღარს თავმოყვარეობას და ბედნიერების, კეთილდღეობის მუდმივ დაუცხრომელს წყურვილს და მოთხოვნილებას. ეს განსხვავებული ეროვნული სული ეთიურს შემეცნებაში უექველად ყველაზედ ნათლად ციცერონმა გამოჰხატა, რომლის უტილიტარიზმი ინდივიდუალისტური და უნივერსალურია ერთსა და იმავე დროს და რომლისთვისაც უკვდავების რწმენა მხოლოდ მიტომაა მაღალზნეობრივი, რომ ის სასარგებლო და მანუგეშებელია ადამიანისთვის.

მაგრამ შემდეგ, როცა ამ ამაყი, სიამოვნებას მოჭარბებული ტომის მზე სამხრობისკენ გადაიხარა და, ბოლოს სრულიადაც ჩაესვენა, როცა სარგებლიანობის მორალმა მას უმტყუნა, ხოლო ძველმა ღმერთებმა იდუმალი ბრწყინვალება დაჰკარგა, ყოველი წუთიერის არარაობამ, მოახლოვებული სიკვდილის წინათგრძნობამ, იმედმა და შიშმა ბნელი მომავალის წინაშე წარმოშვა ის სულიერი წყობილება „მსოფლიო სევდად“ წოდებული, რომლის საუკეთესო მატარებელნი ფილოსოფიურს ეთიკაში ეპიკტეტი, მარკ-ავრელი და სენეკა არიან. ბრძენს მონას, ბრძენს იმპერატორს და ბრძენს პატრიციელს ერთი და იგივე უიმედობა და სასოება აერთებს: ზნეობრივად დაუნდობელია ადამიანი, ბუნებრივად ბოროტი, უბადრუკი და არც იმდენი ძალა შესწევს, რომ ამ ცხოვრებაში დამოუკიდებლად როდისმე თავი დააღწიოს ამ ნაკლულოვანს მდგომარეობას. მხოლოდ ღმერთია წყარო ყოველივე სიკეთისა და მხოლოდ სიკვდილის შემდეგ დაიწყება სულისთვის იდეალური არსებობა, თავისუფალი ხორციელი სასჯელის, ცოდვის და ბორკილებისაგან. სიკვდილის ნატვრა და უზენაესი არსების ძიება არის უკანასკნელი ფილოსოფიური სიტყვა ძველი რომისა, რომელიც მან მოახლოვებულს ქრისტიანობას უანდერძა.

7.

ქრისტიანულმა მორალმაც თავის მხრივ საფუძვლიანად ისარგებლა პლატონის და არისტოტელის, ციცერონის და სენეკას მიერ ნაანდერძევი ფილოსოფიური ეთიკით და განსაკუთრებით უკიდურესობამდე მიიყვანა ის უნდობლობა ადამიანის ზნეობრივს ბუნებისადმი, რომელიც კლასიურს ქვეყანაში გამონაკლისს შეადგენდა, ნაყოფს უკვე დამჭკნარი და იმედ-დაკარგული საზოგადოებისა. ამ უნდობლობაში ადამიანობისადმი სძევს ერთი უდიდესი განსხვავება ელლინურს და ქრისტიანულს მორალს შორის. მართლაც სამართლიანად შეიძლება ითქვას, რომ ელლინური ზნეობა ავტონომიურია, დამოუკიდებელი სარწმუნოებისა და მისი დოგმატებისაგან. ადამიანი, რომლისთვისაც სიკეთე სრულიადაც არ წარმოადგენს რაღაც უცხოს, ღვთაების მიერ ნაჩუქარს, თავისი დამოუკიდებელი გზით მიდის ცოდვის და მადლის გარჩევაში, მაშინაც კი, როცა ამ გზას ის ზეგრძნეულს და ტრანსცენდენტალურს სფერებისკენ მიჰყავს, როგორც ეს პლატონის ფილოსოფიაში ჰხდება. ციური მადლი თვით ადამიანურს ბუნებაშია ჩამარხული, ხშირად როგორც ფარული განძი, მაგრამ ყოველს შემთხვევაში როგორც მისი მონათესავე, მახლობელი ძალა, რომლის პოვნა მას ღმერთების დაუხმარებლადაც ადვილად შეუძლია.

ქრისტიანული აზროვნებისთვის კი ადამიანი ბოროტია თავიდანვე, შეჩვენებული უზენაესი მსაჯულის მიერ და მას ცოდვა ნიადაგ თან დასდევს, როგორც განუყრელი აჩრდილი. მუდმივ უწლოვანოა ის ზნეობრივად, უნიჭო, ძნელი სანდობი. მისი ხსნა მორალური უბადრუკობისა და ცოდვისაგან ხდება არა მისი პირადი დამსახურების საშუალებით, არამედ მისთვის ჯვარცმული ღვთაების წყალობით. ეს „მოწყალების“ იდეაა, რომელიც ყველაზე მეტად ეზიზღებოდა თავისუფალი ელლინური სულით გამსჭვალულს ნეოპლატონიზმს. ასეთი დამცირება ყოველივე ადამიანურისა, უზენაესი ძალის წინაშე ცოდვილი თავის მოხრა, ბოლოს ის აზრი, რომ პიროვნების ხსნა ბოროტებისაგან მისივე შეგნების გარეშე ჰხდება, ერთხელ და სამუდამოთ სხვის მიერ შეწირული მსხვერპლის შემწეობით, მართლაც სავსებით ეწინააღმდეგებოდა კლასსიკურ ერთა ზნეობრივს გრძნობას და შეგნებას.

არა თავისი თავის დადასტურებით, არამედ პირიქით მისი უარ-ყოფით

*) იხ. „დროება“ № 15.

ლექსიკონის შესახებ. გამგეობამ განიხილა აგრეთვე მდივნის მიერ შემუშავებული წესი საზოგადოების კასაში შემოსულ ფულის შენახვის და ხარჯვისა. გამგეობამ წესი დაამტკიცა. ხაზინადრად წინანდელის ნაცვლად არჩეულ იქმნა ფ. გოგიჩაიშვილი.

**თავ. დადიან-მინგრელსკი.** კიევის გაზეთებში დაბეჭდილია შემდეგი ამბავი: თავ. ნ. დ. ერისთავმა შუამდგომლობა აღძრა კიევის გუბერნატორის წინაშე, რომ აპეკა დაენიშნოს მის ბიძაშვილს სამსახურს გარეშე მყოფ პოლკოვნიკს თავ. ა. ფ. დადიან-მინგრელსკის. თავის შუამდგომლობაში თავ. ერისთავი აღნიშნავს, რომ თავ. მინგრელსკის, დამბლად ჩავარდნილს, შარშანდელს აქეთ გონების შერყევის ნიშნები ეტყობა. უცოლ-შვილო თავ. მინგრელსკი სცხოვრობს მარტოდ-მარტო, მოსამსახურეებით გარს-შემორტყმული. თავ. ერისთავს გაუგია, რომ ზოგიერთი პირნი სარგებლობენ მინგრელსკის ავადმყოფობით, ითვისებენ მისს ქონებას და თვითონ ავადმყოფს საექსპლოატაციო საგნად ჰხდიან. ასეთ პირობებში განსაცდელი მოელის თავ. მინგრელსკის ქონებას, რომელიც შესდგება ნაღდ თანხებისაგან და დიდი ფასის მოძრავისაგან. თავ. ერისთავი სთხოვს კიევის ადმინისტრაციას: 1. შეამოწმებინოს თავ. მინგრელსკი, იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად გონებაზეა იგი. 2. დანიშნოს აპეკა და 3. აპეკის დანიშვნამდე მოაშოროს მოსამსახურენი და იზრუნოს ქონების დაცვაზე.

**ხორცის ნიხრი.** ტფ. გუბერნატორის მიერ დამტკიცებულ ნიხრით ძროხის ხორცი უნდა იყიდებოდეს 12 კაპ., ხოლო ცხვრისა 13 კაპ. გუშინ ტფილისის ყასბების წარმომადგენლებმა ქალაქის გამგეობას გამოუცხადეს, რომ თუ ნიხრს არ მოუმატებთ, ჩვენთვის შეუძლებელი იქნება ხორცის გაყიდვა, რადგანაც დიდად საზარალოაო.

**ქალის გაუპატიურება.** გორიდან გვატყობინებენ: 21 იანვარს გორში ტფილისის ოლქის სასამართლოს სესიამ გაარჩია საქმე გიორგი ქებაძისა, ბრალდებოდა საკუთარ 9 წლის ქალის გაუპატიურება, სასამართლოში ქებაძეს ქალი გაუპატიურება არ დაუმტკიცდა. სასამართლომ იგი მხოლოდ გაუპატიურების განზრახვაში იცნო დამნაშავედ და გადაუწყვიტა აჰყაროს ყოველივე ღირსება და 3 1/2 წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაჰგზავნოს.

**დადგენილებანი.** წ.-კითხვის საზ. გამგეობამ 21 იანვარს დაადგინა, შუამდგომლობა აღძრას სათანადო მთავრობის წინაშე სოფ. მამათში სამკითხველოს დაარსების შესახებ. ამავე სხდომაზე გამგეობამ შეიწყნარა განცხადება ბ-ნ ალალოთუთაევისა და დაადგინა, 20 მანეთის წიგნები გაუგზავნოს დიდუბის სამკითხველოს.

**სახალხო უნივერსიტეტი.** როგორც გავიგეთ, სახალხო უნივერსიტეტის თავმჯდომარეს ბ-ნ ვ. რცხილაძეს წარუდგენია ნების დასართველად შემდეგი პროგრამა ქართულ ლექციისა ფიზიკიდან:

სითბო. რა არის სითბო, საიდან წარმოსდგება და როგორ მოქმედებს იგი მაგარ სხეულებზე, სითხეზე და ჰაერგვარებზე. ტემპერატურა და მისი გაზომვა; რა მნიშვნელობა აქვს ამ გაზომვას. სხეულების გაფართოება გაზომვით. რა მნიშვნელობა აქვს ამ გაფართოებას და როგორ ვსარგებლობთ მით ტეხნიკაში და პრაქტიკულ ცხოვრებაში. როგორ იზომება გამთბარი სხეულის გაფართოება და რა ზომით ფართოვდებიან მაგარი სხეულები, სითხეები და ჰაერგვარები. ცდები.

ეს განცხადება მიღებით მიუღიათ, მაგრამ არც ნებართვა მიუღიათ თურმე ჩვეულებრივ გზით და არც რაიმე მსვლელობას აძლევენ განცხადებას.

**საელექტრონო სადგური და საყასპოს ახალი შენობა.** როგორც ვიცით, ტფ. ქალაქის თვითმმართველობამ კარგა ხანია შეიმუშავა პროექტები საელექტრონო სადგურისა და საყასპოს ახალ შენობისა. რადგან ქალაქმა უკვე მიიღო სესხის აღების ნება, გამგეობა მეუდგა ამ შენობების დაწვრილებით ხარჯთ-აღრიცხვის შედგენას, რომ სესხის განაღდებისთანავე ხელი მიჰყოს მუშაობას. საყასბოს შენობის ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა დაევალა არქიტექტორს მ. პ. ოჰანჯანოვს, რომელიც დროებით განთავისუფლებულ იქმნა ქალაქის სხვა საქმეებისაგან. წყლის მილის გამგეს ინჟინერს ქურდიანს დაევალა პროქტის შედგენა საყასბოსათვის წყლის გასაყვანად მტკვრიდან თუ სხვა ადგილებიდან. წინასწარ სამუშაოების მეთვალყურეობა მიენდო ქალაქის ინჟინერს კოგნოვიცკას. სამუშაო იმდენი იქნება, რომ გამგეობა მოიწვევს ერთ ტეხნიკოს და ერთ მხატვარს.

**ყასპები პასუხის გებაში.** პოლიციის მე-2 ნაწილში 9 ყასბს ნიხრზე ზედ-მეტად ხორცის გაყიდვისთვის მრავალჯერ შეუდგინეს ოქმები, მაგრამ ისინი თავისას მაინც არ იშლიან. ეხლა ამ მედუქნეებს პოლიციამ ერთხელ კიდევ შეუდგინა ოქმები და წარადგინა, რომ სასტიკად იქნენ დასჯილნი თვითნებობისათვის.

**იარაღის საწყობი** მუშაში აღმოუჩენიათ იარაღის საწყობი. დაუპატიმრებიათ რამდენიმე კაცი.

**დათვი მოჰკლეს.** 20 იანვარს პოლიციის მე-7 ნაწილში მეტეხის დაღმართთან გაჩნდა დათვი, რომელიც გამვლელ-გამომვლელებს თავს ესცემოდა. შეშინებული ხალხი გარბოდა. მალე გაჩნდნენ პოლიციელები, რომელთაც დათვს რევოლვერები ესროლეს და იქვე მოჰკლეს. როგორც გამოირკვა, დათვი პატრონს ივანე ქურხულს დაბმული ჰყოლია ორთაჭალის ბაღში. დათვს ჯაჭვი გაუწყვეტია და გამოქცეულა. დათვს ხალხისაგან არავინ დაუშავებია.

**ხვალ, 24 იანვარს,** საქმოსნ საზოგადოების სადგომში ბავშვთათვის წაიკითხავენ: ქ-ნი სააკოვისა (დილის 10—11 საათამდე) სომხურად „ქაჯი“ — ბოდენშტედტისა. ქ-ნნი ჟორდანია და ასათიანი (დილის 11—12 ნახ. საათამდის) ქართულად, პირველი „მამაცი მეჯდანე“ და მეორე „ჯანმრთელობის ხე“. ამავე დღეს (საღამოს 5—7 საათამდე) ექიმები გ. დ. დამბაშიძე და ა. პ. მხიტარიანცი წაიკითხავენ ლექციებს ანატომიაზე და ფიზიოლოგიაზე პირველი—ქართულად, მეორე—სომხურად.

**ხონიდან** მოგვივიდა შემდეგი დეპეშა: „ხონის სამოქალაქო სასწავლებლის მოწაფენი ძალზე დაადონა ძვირფას ამხანაგის დიმიტრი ქვათარაძის ტრაგიკულმა სიკვდილმა“.

**21 იანვარს** ტფილისში შემდეგი ამბები მოხდა: დააპატიმრეს შულავერის მცხოვრები გრიგოლ ჩალიანცი, რომელიც აქამდე გადამალული იყო სამხედრო ბეგრის თავიდან ასაშორებლად. დააპატიმრეს აგრეთვე თელავის მცხოვრები ალექსი ტერ-სარქისოვი, რომელიც საგენერალ-გუბერნატოროდან გადასახლების შემდეგ ნება-დაურთველად დაბრუნებულა. პოლიციის მე-5 ნაწილში ჩხრეკის დროს დააპატიმრეს 16 უპასპორტო კაცი. რკინის გზის ლიანდაგს მეორე მხარეს მეპურე ივანე გიორგობიანის თორნეში მისულა არშაკ ბაღდასაროვი (15 წ.) და რევოლვერით ხელში ხუმრობა დაუწყვია მეპურის მსახურ ვარლამ გიორგობიანთან. ხუმრობის დროს რევოლვერი გავარდნილა და დაჭრილან გიორგობიანი და თვით ბაღდასაროვი. პოლიციას გამოურკვევია, რომ ბაღდასაროვს იარაღი მიუღია ტფ. მოქალაქის ვართან სეროპოვისაგან. სეროპოვი დააპატიმრეს და მან განაცხადა, მართალია, მე ვთხოვე რევოლვერი ბაღდასაროვს, მაგრამ ამ უბედურების შემდეგ უკანვე დავიბრუნე და მტკვარში გადავაგდეო; რევოლვერი ხუთი პატრონით გატენილი შემთხვევით ვიპოვნე ხოჯივანქის სასაფლაოზეო. პოლიციამ დააპატიმრა ნერსესიან სემინარიის მოსწავლე სააკ ბურუნჯუნიანცი, რომელსაც დაბრალდა ახალ-ციხელ მოქალაქის მკრტიჩ სამარჩიანცის სახლიდან 174 მანეთის ნივთების მოპარვა.

# მოწერილი ამბავი

**სოფ. კულაში** (ქვემო იმერეთი). საქართველოს არ გამოუვლია იმდენი ტანჯვა, რამდენიც აქაურმა ბიბლიოთეკა-სამკითხველომ გამოიარა. ვის ხელში არ იყო და რა არ გადახდა თავს! იდევნებოდა ხან უნებართობისა გამო და ხან უსახსრობით, ხშირად კი უთაობით, თუ მართალს ვიტყვით. ნახევარ წელიწადზე მეტია, რაც წერა-კითხვის საზოგადოებამ ნებართვა აიღო კულაშში სამკითხველოს არსებობის შესახებ. ენკენისთვიდან იგი ფაქტიურად არსებობს. გამგედ ითვლება გულ-შემატკივარი ადამიანი კნ. პელაგია მიქელაძისა, ხაზინადრად თავ. დევან მიქელაძე. წარმოდგენიდან შემოსულით თუ საწევრო ფულით დღემდის მოატანა; დღეს კი კვლავ განსაცდელში უნდა ჩავარდნილიყო, შეიძლება დასათლავებულიყო კიდეც, რომ გულ-შემატკივარნი არ მოსულიყვნენ. 10 იანვარს არჩეულ იქმნა ოთხი კაცი, რომელთაც დაევალათ ჩამოიარონ კულაშის საზოგადოების ყველა ოჯახი და სთხოვონ ჩაეწერნენ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მახლობელ განყოფილების (სამტრედიის) წევრად. კულაშის საზოგადოება მოუპოვებს რა წევრებს, სთხოვს განყოფილებას თავს იდოს ბიბლიოთეკის შენახვა. იმედი გვაქვს გულგრილად არავინ მოეპყრობა ამ საქმეს და წევრად ყველა ჩაეწერება.

ვარლამ იმერელი.

—

**სოფ. ურიათუბანი** (კახეთი). ჩვენი სოფელი იმ თავითვე დატანჯულია. ჯერ ისევ მოძრაობის დროს ურიათუბანი ერთ არა სამედო სოფლად მიაჩნდათ ჩვენი ბედის გამგებელთ, ვის არ ახსოვს ურიათუბნის ეგზეკუციები ერთი ერთმანეთზედ, მთავრობის მამასახლისები. მაგრამ რაც იყო, იყო, წარსულს თავი განებოთ და ეხლა მომავალზე ვიფიქროთ. თელავის მაზრაში მოხსნეს მთავრობის მამასახლისები. 26 დეკემბერს ს. ურიათუბანში ადგილობრივ (თელავის) მაზრის მომრიგებელ შუამავლის თანდასწრებით შესდგა მამასახლისის არჩევნები. მომრიგებელმა შუამავალმა ზისერმანმა ხალხს მიმართა შემდეგის სიტყვით: „თქვენ დღეს უნდა აირჩიოთ ისეთი მამასახლისი, რომელიც უნდა იყოს თქვენი ინტერესების დამცველი. კარგად დაფიქრდით, ერიდეთ იმისთანას, რომელიც ინდაურ-ქათმებისკენ იწევს ცქერას. თუ ისეთ პირს აირჩევთ მამასახლისად, რომელსაც არ შეეძლება თავის მოვალეობის ასრულება, ეხლავე გიცხადებთ, უპირველესად მე გაცნობებ გუბერნატორს, რომ სამუდამოდ მთავრობის მამასახლისი დაგინიშნონო“. უმეტესობის ხმით არჩეულ იქმნა ტიტო ბრაგვაძე. დაშლის დროს გლეხობა ერმანეთს ულოცავდა ჩვეულებრივ მამასახლისის არჩევას.

ურიათუბანი შესდგება ხუთას კომლისაგან. აქ არსებობს ერთი სამინისტრო სკოლა, საეკლესიო სკოლაც არსებობდა, მაგრამ ადგილობრივ მღვდლის სეფერიან გუგუთაშვილის წინამძღოლობით და გულ-შემატკივრობით არსებობს ჩამხმარი. თუმცა, ჩვენდა სავალალოდ, უნდა მოგახსენოთ, რომ არც სამინისტრო სკოლა გახლავთ უკეთეს პირობებში. იყო ჩვენთვის დრო ბედნიერი, როდესაც ორივე სკოლაში სასურველად იყო დაყენებული სწავლის საქმე, ეხლა კი ლამის სამრევლო სკოლის სიმწუხარემ სამინისტრო სკოლაც თან გაიტანოს. ოთხი-ხუთი წლის მიყვანილ ბავშვებს „დედაენის“ წაკითხვა უძნელდებათ, უთუოდ ქართული არ ეხერხებათ მასწავლებლებს, თორემ რა მიზეზი უნდა იყოს? შარშან გაზაფხულზე „ეგზამენებზე“ მოვიდა სამინისტრო სკოლების მეთვალყურე პაკარელოვი, რომელიც დიდი უკმაყოფილო დარჩა მასწავლებლისა. პაკარელოვმა მოსწავლეებს გამოუცხადა: „თქვენ დღევანდლამდის ისეთი მასწავლებელი გყოლიათ, რომელსაც სწავლება არ შესძლებია, ამისთვის შემოდგომიდან გეყოლებათ სხვა მასწავლებელიო“. მაგრამ, ჩვენდა სავალალოდ, გვიმტყუნა ბედის ჩარხმა, პაკარელოვის გამოწერილ წამალს ველოდით და ველოდებით დღესაც, მაგრამ გულში კი ვეჭობთ, ვაი თუ რეცეპტი სრულიად დაკარგულიყოს!

15 დეკემბერს ოლქის მზრუნველისაგან ადგილობრივმა მოძღვარმა სეფერიან გუგუთაშვილმა მიიღო მოწერილობა, შეეკითხოს მრევლს სამინისტრო სკოლის ორკლასიანად გადაკეთებაზე და თუ ისურვებს ხალხი, აცნობოს და მომავალ წლიდან მზად იქნება საქმეო. მასწავლებლებს ჯამაგირს ჩვენ მივცემთ, მხოლოდ სოფელმა იკისროს ბინა და შეშაო. მღვდელმა გამოუცხადა ხალხს, მაგრამ ხალხი ფიქრობს, რა საშველი ჰქონდეს. ვერ ამ ერთ კლასიანმა რა სარგებლობა მოგვიტანა, ორ კლასიანიდან რას უნდა მოველოდეთო, გაიძახოდა ხალხი. ამისთანა საქმეში რას არ გააკეთებდა მხნე ადამიანი...

ი. ზენოშვილი.

---

და განადგურებით მიაღწევს ადამიანი ქრისტიანული ეთიკის მიხედვით უდიდეს სიკეთეს და იდეალს. ამ ქვეყნიური ცხოვრების არარაობად მიჩნევა, მისგან განყენება, მისი კეთილ-დღეობის უკუგდება მიანიჭებს უკვდავს სულს საუკუნო კმაყოფილებას და ნეტარებას. ეს სამაგიერო „დაჯილდოვების იდეა“ განსაკუთრებით პავლე მოციქულმა განავითარა თავის ეპისტოლეებში და ამით იმ ფართო, უბედური მასსების ღრმა ეგოიზმი და ნეტარების გაუმაძღარი მოთხოვნილება დააკმაყოფილა, რომელშიაც ქრისტიანობა პირველად გავრცელდა. ამასთანავე ეს მეორე მუხლია, სადაც ახალ-აღმოცენებული მორალი ყველაზე მეტად სცილდება კლასსიკურს. უკანასკნელისთვის ზნეობრივი მოქმედება თავისავე წიაღში ატარებს თავის ჯილდოს და დამაკმაყოფილებელს შედეგს სრულიადაც საიქიოში არ ეძებს. იქ ბედნიერება თითქმის ყველა ეთიურს სისტემებისთვის თვით ზნეობის ეფექტია და არა მისი იმ ქვეყნიური ჯილდო.

აქედან ცხადია, რომ ის აზრი სინოპტიკური სახარებისა, რომლის მიხედვით ადამიანმა ბოროტებას წინა არ უნდა აღუდგეს, არამედ მას სრული მორჩილება უნდა გაუწიოს—სავსებით ეთანხმება ქრისტიანული მორალის ძირითადს მოძღვრებათ. ეს ქვეყანა ამ მორალისთვის სრულიადაც არ არის გიგანტური ბრძოლა კეთილისა და ბოროტს შორის, როგორც ეს ზოროასტრის რელიგიას ეგონა და მისი ისტორია სრულიადაც არ მოწმობს ნათელი ორმუზდის თან და თანს გამარჯვების ბნელს არიმანზე. ძლიერ სუსტია მომაკვდავი იმისთვის, რომ მან თავის აქტიური ზნეობრივი შემოქმედებით ხელი შეუწყოს მადლის საბოლოო ძლევამოსილებას ცოდვაზე და ეს ძლევაც ყოვლად შეუძლებელია საქაო ცხოვრებაში. იდეაში ბოროტება და ცოდვა უკვე განადგურებულია ხორცშესხმული ღვთაების ტრაგედიით და სიკვდილით, საბოლოოდ კი ის თვით ამ სოფელთან ერთად მოისპობა.

ხელის აღება ზნეობრივს აქტივობაზე, ასკეტიზმი, სრული რეზიგნაცია და მოდუნება და ოპტიმისტური იმედებით აღსავსე ლოდინი მეორე მოსვლისა ბუნებრივი შედეგია იმ პასსიური სულიერი წყობილებისა, რომლითაც გამსჭვალულია პირველ ყოფილი ქრისტიანობა. დიდხანს, მაგრამ ამაოდ უცადა მან ანგელოსთა საყვირების და ცოდვილთა ძრწოლის ხმას, რომელსაც პირველად უნდა ემცნო მართლ-მორწმუნეთათვის, რომ ბოლო მოეღო ყოველს დროულს, ისტორიულს და მოვიდა მეუფება მუდმივისა და წარუვალისა: დედამიწა ცოტა უფრო მჭიდრო და ხანგრძლივი აღმოჩნდა ვიდრე იმათ ეგონათ, ვინც მას სულის წუთიერს სადგურად სთვლიდა. „მეორედ მოსვლის“ იდეა ძალაუნებურად ნელ-ნელა გადავიდა „საიქიო ცხოვრების“ იდეაში, ხოლო აბსოლუტურმა უარყოფამ ადგილი მისცა ამ ქვეყნიური ზნეობრივი პრობლემების შეგნებას. ამ გარეგნულს შერიგებას ცხოვრებასთან, რომელიც შინაგნად მუდმივ უარყოფილი რჩება, აუცილებლად თან დასდევს ის ღრმა წინააღმდეგობანი, რომელთაგან ქრისტიანობა ვერ განთავისუფლდება, სანამ ის თავის თავს ორი მოწინააღმდეგე ქვეყნის მოქალაქეთ სთვლის: ერთი მხრივ ნების ყოფის წინასწარ განსაზღვრულობის იდეა და აქედან ლოგიკურად გამომდინარე მოდუნება და უიმედობა, მეორე მხრივ მოწყალების და ხსნის აზრი, შეერთებული ზეზერეულ უმართებულო ოპტიმიზმთან, ერთი მხრივ თავის თავის უარყოფა და მოყვასის სიყვარული, მეორე მხრივ ბედნიერების დაუცხრომელი წყურვილი და ტლანქი უტილიტარიზმი, ერთი მხრივ შინაგანი ხასიათის ზნეობრივი დაფასება, მეორე მხრივ გარეგნული სიქველე და ფარისევლობა. ეს წინააღმდეგობანი მდიდარი წყაროა იმ ღრმა სულიერი კონფლიქტებისა, რომლითაც ქრისტიანული ზნეობრივი პიროვნება ასე თვალსაჩინოდ ირჩევა ელლინთა ან რომაელთა მთლიანი და ჰარმონიული შეგნებისაგან.

8.

ახალი დროის უდიდესმა ფილოსოფოსმა იმმანუელ კანტმა შეეცადა გაენთავისუფლებინა მორალი იმ ცალმხრივი მონური დამოკიდებულებისაგან სარწმუნოებასთან, რომელშიაც ის დოგმატიურმა ქრისტიანობამ ჩააყენა და ამით დაებრუნებინა მისთვის დიდის ხნით დაკარგული ავტონომია. მან არსებითად სრულიად შეაბრუნა არსებული ურთიერთობა ამ ორს სულიერს ძალთა შორის და პირიქით მორალი დაუდო საძირკვლად სარწმუნოებას. ამაში მდგომარეობს ერთი უდიდესი ისტორიული ღვაწლი ბრძენისა. მაშინ როცა ორთოდოქსალური საეკლესიო მოძღვრებისთვის სიკეთის და ბოროტების უცდომელი გამრჩევი და მაჩვენებელი ზეადამიანური ღვთაებრივი ძალაა, ხოლო ზნეობის შინაარსი ამავე ძალის მცნებანი, რომელნიც საეკლესიო დოგმატების სახით არსებობენ, კანტისთვის პირიქით თვით სარწმუნოება, მისი სწავლანი, და მცნებანი გამომდინარეობენ თავისუფალი ზნეობრივი კანონისაგან და მხოლოდ მის საზღვრებში პოულობენ თავის გამართლებას. ქრისტიანობისთვის უზნეობად ითვლება ყველაფერი, რაც სარწმუნოებას ეწინააღმდეგება, კანტისთვის პირიქით დასაგმობ ცრუმორწმუნეობად, რაც ზნეობას არ ეთანხმება. ქრისტიანი მორალურად ვალდებულია სარწმუნოების და ეკკლესიის ბრძანება შეასრულოს, თუნდ ეს მისს სინიდისს ეწინააღმდეგებოდეს, კანტის მორალისთვის კი, ამის წინააღმდეგ, სავალდებულო მხოლოდ ის არის, რაც სუბიექტურს სინიდისსთან იმყოფება სრულს ჰარმონიაში.

ადამიანის შინაგანი ხმაა ზნეობრივი კანონი და სწორედ ამ ხმის იდუმალს ბრძანებას უნდა მიაპყროს გულისყური იმან, ვისაც სურს აღასრულოს სავალდებულო. „ორი საგანი, ამბობს კანტი, ავსებენ ჩემს სულს მით უფრო ახალის და მომეტებულის განცვიფრებით და მოკრძალებით, რაც უფრო ხშირად ვუფიქრებდი მათ: ვარსკვლავებით მოჭედილი ზეცა ჩემს ზევით და მორალური კანონი ჩემში“. მაგრამ არსებობს ერთი ღრმა გარდაუვალი განსხვავება ამ ორს დიადს საგანთ შორის; ის ზეცა და მნათობნი ჩვენი ფენომალური ქვეყნის უმაღლესი და უმშვენიერესი მოვლინებანი არიან. სივრცის და დროების საზღვრებში გაშლილნი, ურთიერთს შორის მიზეზობრივად დამოკიდებულნი ისინი ჩვენთვის მხოლოდ ჩვენივე გამოცდილების სახით არსებობენ; ჩვენ მათ ვიცნობთ მხოლოდ იმგვარად, როგორც ისინი ჩვენ გვევლინებიან და არა როგორც ისინი არიან თავის თავად, შემცნობი სუბიექტისაგან დამოუკიდებულად. დროების, სივრცის, მიზეზობრივობის და სხვა კატეგორიების ჩარჩოებშია მომწყვდეული მთელი ჩვენი გრძნეული, ემპირიული ქვეყანა, თვით ეს ჩარჩოები კი ჩვენივე აზროვნების და შეხედულების ფორმები არიან და არა აბსოლუტური რეალობანი, როგორც ეს პოპულარულს შემეცნებას ან დოგმატიურს ფილოსოფიას ჰგონია. მუდმივ აუხსნელი ამოცანაა ადამიანისთვის ის აბსოლუტური არსი, ის საგანი თავის თავად, რომელიც მისივე გამოცდილებას მოვლინებად უძევს საფუძვლად. პედანტიურად მშრალის ენით, მაგრამ წარმტაცის სიძლიერით გამოაშკარავა კანტმა ის სამარადისო ტრაგედია ადამიანური შემეცნებისა, რომელიც განუწყვეტლივ აბსოლუტურს სიმართლეს ეძებს და ყოველთვის თავის განსაზღვრულს ადამიანურს ჭეშმარიტებას პოულობს: თეორეტიულს შემეცნებაში მას არ ძალუძს თავისივე ბუნების საზღვრებიდან გამოვიდეს, როგორც არ ძალუძს იმ თავის-ვე თმებში ხელებ ჩაჭიდებულს ლეგენდარულს გმირს თავი წუმპისგან დაახწიოს, მისი ბუნებისთვის კი მხოლოდ საგანთა მოვლენანი არსებობენ. ესაა ძირითადი წინააღმდეგობა: მოვლენა უსათუოდ რაიმეს მოვლინებაა და აუცილებლად თავისავე ზღუდეების გარეშე უთითებს მაძიებელი ის აზროვნებას, ის რაიმე კი მიუდმივ მიუწდომელი რჩება მისთვის.

მაგრამ არსებობს ერთი სფერა, სადაც ეს „ნამდვილს სინამდვილეზე“ გადაფარებული ბნელი და იდუმალი ზეწარი თხელი და გამჭვირვალი ხდება მომაკვდავისათვის: ესაა სფერა ზნეობრივი მოქმედებისა ანუ უკეთ ვსთქვათ ვალდებულების შეგნებისა. ორ ძირითადად განსხვავებული ქვეყნის ღვიძლი შვილია ადამიანი და ორივე თავისებურად ისახება მის არსებაში: როგორც ემპირიული ყოფნის მატარებელი ის გრძნეულია, დროებით განსაზღვრული, მიზეზთა ჯაჭვისგან დამოკიდებული; როგორც ზეემპირიული, ინტელლიგიკური, ტრანსცენდენტური არსება ის ზნეობრივია, უკვდავი, აბსოლუტურად თავისუფალი. ეთიური შეგნებისგან გამომდინარეობს ამ იდეათა სამეფოს აუცილებლობა, მიტომ რომ შინაგანი ზნეობრივი კანონი ისეთი რამაა, რაც თუმცა ემპირიულად არსად არსებობს და არც როდისმე იარსებებს, მაგრამ მიუხედავად ამისა თავს გვამცნობს აბსოლუტურს, გამოუკლებლივს ვალდებულებად, დაუსაბუთებელ კატეგორიულ ბრძანებად. ასეთი საზოგადო კანონის წყარო არ შეიძლება გამოცდილება იყოს, ის ქვეყანა, რომლის შესაძლებლობა ოვით არის აპრიორულს პრინციპზე დამოკიდებული და რომლის ნორმები ყოველთვის პირობათა და გამონაკლისთ გულისხმობენ. ზეემპირიულს, ტრანსცენდენტურს რეალობას ითხოვს ამ გვარად ვალდებულების შეგნება, ჰონებრივ მიზნების და არა მექანიკური აუცილებლობის სფერას.

მაგრამ ამასთანავე ის ნებისყოფის სრულს ავტონომიასაც ითხოვს: კატეგორიულმა ბრძანებამ არ იცის გამონაკლის სავალდებულოს აღსრულებაში, ემპირიული ნების ყოფა რომელიც კი, მიზეზთა და მოტივებისაგანაა დამოკიდებული, ყოველთვის განსაზღვრულია თავის მოქმედებაში და მაშასადამე ვერ შესძლებს, იმ უპირობო და დაუსაბუთებელი კანონის ასრულებას. ამას გარდა, ის ითხოვს უკვდავებას ზნეობრივი პიროვნებისათვის, რათა მან მიაღწიოს იმ სამარადისო იდეალს, რომელიც მასშია ჩანერგილი და რომლის განხორციელება დროების საზღვრებში შეუძლებელია და ბოლოს ის ითხოვს უზენაესს არსებას, როგორც კანონმდებელს ამ ამაღლებული იდეალური წესწყობილებისა

## თეატრი და ხელოვნება

**საღამო წ.-კ. საზოგადოების სასარგებლოდ.** მოვაგონებთ მკითხველ საზოგადოებას, რომ დღეს საარტისტო საზოგადოების საკონცერტო დარბაზში გაიმართება საღამო წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ. საკონცერტო განყოფილებაში მონაწილეობას იღებენ ქ-ნნი კნ. გურამიშვილისა, პოლტარაცკისა და ბ-ნნი ივანე სარაჯიშვილი, ვილშაუ, ლიურსარსკი, ს. მგალობლიშვილი, ნ. ქართველიშვილი და სხვანი. საზოგადოდ საღამო ძალიან საინტერესოა. შემდეგ გაიმართება ევროპიული და ქართული ცეკვა, ბილეთების ფასი ყველასათვის ხელმისაწვდენია. იმედია, ქართველი საზოგადოება ბლომად დაესწრობა საღამოს.

---

**შუამდგომლობა.** ტფ. ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღსძრა რკინის გზის უფროსის წინაშე, ნება მიეცეს ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლის მოსამსახურეს თავისუფლად იაროს რკინის გზის სახელოსნოებსა და დეპოში მუშებში სახალხო წარმოდგენების ბილეთების გასავრცელებლად.

---

**დირიჟორები.** ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლთან არსებულ სამუსიკო საზოგადოების გამგეობამ ხოროსა და ორკესტრის მართველებად მიიწვია ბ-ნი პ. პ. ფალიაშვილი და ა. თ. ვანჩენკო.

---

**ახალციხე.** ამას წინად ნინო ქობულაძის თაოსნობით კლუბში გაიმართა ქართულ-სომხური წარმოდგენა არტისტქალის ნ. გაბუნია-ცაგარლის 30 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად. ქართულად ითამაშეს თითო-მოქმედებიანი ვოდევილები: „უბედური დღე" და „ბნელ ოთახში". წარმოდგენის დაწყებისას წაიკითხეს ქართულსა და რუსულს ენაზე ადრესი და ბიოგრაფია იუბილიარისა, ხოლო წარმოდგენის შემდეგ ხუთიოდე სხვა და სხვა ცოცხალი სურათი უჩვენეს დამსწრეთ. სურათების ანტრაქტებში ევროპიული ცეკვა იყო. წარმოდგენას ბევრი ხალხი დაესწრო. წმინდა შემოსავალი 150 მანეთი უთვილა. აქედან ნაწილს ადგ. დედათა სასწავლებელს მისცემენ, დანარჩენს იუბილიარს გაუგზავნიან. სომხურმა წარმოდგენამ ძალიან ასაამოვნა ხალხი, ცოცხალმა სურათებმაც კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. ამავე დროს ქართულმა წარმოდგენამ მეცხებისუსტა. ემჩნეოდა ურეპეტიციობა და, თრისა და სამის გარდა, დანარჩენებმა როლიც არ იცოდა.

ერთი კვირის წინად კიდევ ადგილობრივმა ახალგაზდობამ რაბათში დასდგა „ავაზაკები", (მხოლოდ ერთი მოქმედება), და „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ". ურეპეტიციობა აქაც ეტყობოდა, მაგრამ როლები მაინც იცოდნენ. ხალხი ბლომად დაესწრო წარმოდგენას. შემოვიდა 100 მან., რომელიც იმავე დედათა სკოლის სასარგებლოდ გადაიდო.

საზოგადოდ ძნელია აქეთ წარმოდგენის დადგმა. ახალციხელი სცენის-მოყვარენი სანამდი წარმოდგენას დასდგამდნენ, ათჯერ მაინც გამოსცვლიან პიესას, ისიც რეპეტიციების შემდეგ როლების განაწილებაზედაც ერთი ალიაქოთი ატყდება ხოლმე. კარგი იქნება დაარსდეს აქ სცენის-მოყვარეთა საძუდამო წრე.

**კ. გ—ძე.**

---

**ალაგირი** (თერგის ოლქი). 6 იანვარს ალაგირის ქართულ სკოლის მასწავლებლის თაოსნობით ქართველ სცენის-მოყვარეთა მიერ წარმოდგენილ იქნა დრამა „ადვოკატთან". წარმოდგენაზე რიგიანად ჩაიარა და დიდძალი ხალხიც დაესწრო—ოსი, რუსი, ქართველნი ეტყობოდათ, რომ სცენის-მოყვარენი ძალიან ცდილან. მონაწილეობას იღებდნენ: ანნა უტურაშვილი, პ. მეტრეველი, ი. დობჯანიძე, ი. გაბისიანი, ნ. დობჯანიძე, გ. დობჯანიძე, ლ. დობჯანიძე, ე. მეტრეველი, ს. მეტრეველი, ა. უტურაშვილი, და ო. გაბიჩვაძე.

**მ—ლი.**

## შორეულ აღმოსავლეთი

**იაპონიის ჯარის ნაწილის მობილიზაცია.**

ხარბინიდან ატყობინებენ გაზეთ „რეჩ"-სა: „აქ ცნობა მიიღეს, რომ ამ ჟამად იაპონია საიდუმლოდ ახდენს თავის ჯარის ნაწილის მობილიზაციას. დამზადებული ჯარი გაიგზავნება ჩიოსონში (კორეაში), სადაც ამ დღეებში დაამთავრეს უზარმაზარ ყაზარმების აშენება, ნანანში, ჩრდილოეთ კორეის უმთავრეს ციხეში, იაპონელები ჰმართავენ ჩქარად ახალ ბატარეას. იქაურ მეციხოვნე ჯარს მოუმატეს 3 ქვეითი პოლკი და 25 საციხე ზარბაზანი".

**გრაფ კომურა'ს სიტყვა.**

წარსულ 14 იანვარს იაპონიის გარეშე საქმეთა მინისტრმა გრაფ კომურამ გრძელი სიტყვა წარმოსთქვა პარლამენტში იაპონიის გარეშე პოლიტიკისა და მის სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობაზე:

„იაპონიის ურთიერთობა სხვა სახელმწიფოებთან უფრო და უფრო გულითადი და მეგობრული ხდება მეტადრე ჩვენი კავშირი ინგლისთან ძლიერ სასურველ მდგომარეობაშია და წინანდებურად ხელს უწყობს მშვიდობიანობის განმტკიცებას შორეულ აღმოსავლეთში. წელს გაიმართება იაპონია ინგლისის გამოფენა, რომელიც უეჭველია ძლიერ შეუწყობს ხელს ვაჭრობის განვითარებას ამ ორს მოკავშირე ერს შორის

თუმცა ჩვენს განწყობილებას რუსეთთან ზოგი ეჭვის თვალით უცქერიდა და მის შესახებ უსაფუძვლო ხმებს ავრცელებდნენ, მაინც სრულიად გულახდილად და გულწრფელად მოგახსენებ, რომ მეგობრობისა და კეთილმეზობლობის კავშირი ჩვენსა და რუსეთს შორის უფრო და უფრო მაგრდება და იმედი მაქვს, რომ მომავალში ეს მეგობრობა უფროც გამაგრდება.

საფრანგეთთანაც კარგი დამოკიდებულება გვაქვს. ჩვენ და საფრანგეთი მტკიცედ ვასრულებთ ჩვენ შორის დადებულ შეთანხმებას და ერთმანეთს ნდობით უცქერით.

გერმანია სამართლიანად და მეგობრულად ექცევა იაპონიას და ჩვენი მთავრობა ძლიერ კმაყოფილია მით, რომ გერმანიის და იაპონიის პოლიტიკა ერთმანეთს არსად ეწინააღმდეგება.

იაპონიას და შეერთებულ შტატებს შორის იმ თავითვე მტკიცე მეგობრობა არსებობს. ამ მეგობრობას ხელს უწყობს ორსავ ქვეყნის აღებ-მიცემობის ინტერესი და ამიტომ ორივე მთავრობა უთვალნაირად ცდილობს ამ ძველის მეგობრობის განმტკიცებას. წარსულ წელს არა ერთხელ დამტკიცდა ჩვენსა და ამერიკელებს შორის არსებული პატივისცემა და მეგობრობა. წარსულს ჩვენი ფლოტის ესკადრამ გაიარა ამერიკის დასავლეთ ნაპირებს ახლო, ჩვენის იმპერატორის გვარეულობის პრინცი დაესწრო ფულტონის იუბილეის ნიუ-იორკში, ჩვენი ჯავშნოსანი „იზუმო" დაესწრო დღესასწაულებს სან-ფრანცისკოში და დასასრულ იაპონელ ვაჭრების ჯგუფმა, ამერიკის სავაჭრო პალატის მოწვევით, მოიარა შეერთებულ შტატების 50-ზე მეტი ქალაქი. ჩვენს პრინცს, ჯავშნოსანს, თუ ვაჭრებს ამერიკაში ყველგან სიხარულით და აღტაცებით უხვდებოდნენ, ხოლო ესეთი დახვედრა ერთის მხრით ცხადად გვიჩვენებს, რომ ჩვენსა და ამერიკის ერს შორის წინანდელი მტკიცე მეგობრობა არ მოშლილა, ხოლო მეორეს მხრით ძლიერ ხელს უწყობს ამ გულითად მეგობრობის განმტკიცებას.

ჩვენს ურთიერთობას ჩინეთთან მეტად დიდი პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობა აქვს მომავლისთვის და მეტი იქნება იმის ახსნა, თუ რამდენად აუცილებელია ორსავ ქვეყნისთვის კარგ ურთიერთობის ქონა და მისი გამაგრება. ჩინეთის მთავრობამ, რომელსაც კარგად ესმის ჩვენთან კეთილ დამოკიდებულების აუცილებლობა, თითონ მოინდომა ჩვენთან შეთანხმება და წარსულ სექტემბერში ჩვენ და ჩინეთმა შეთანხმება დავსდეთ ბევრ მნიშვნელოვან საკითხზე. გადაუწყვეტელი მხოლოდ ზოგიერთი ნაკლები მნიშვნელოვანი საქმე და დავები. გულწრფელად მრწამს, რომ ჩინეთის მთავრობა ამას იქითაც არ მოაკლებს მეცადინეობას, რომ ჩვენს და მის შორის მეგობრობა განმტკიცდეს და შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობიანობა და სიწყნარე არ დაირღვეს.

მანჯურიაში, თუ ჩინეთის სხვა ნაწილებში იაპონია იცავს „ღია კარებისა" და თანასწორობის პრინციპებს. ჩვენი მთავრობა წარსულშიაც მუდამ ასეთს პოლიტიკას მისდევდა და მომავალშიც არ უღალატებს მას. ჩვენმა მთავრობამ გახსნა პორტ-არტური ყველა სახელმწიფოს ვაჭრობისთვის იმ აზრით, რომ ხელი შეუწყოს მანჯურიის განვითარებას და სხვა ქვეყნებს ვაჭრობა გაუადვილოს. მტკიცე იმედი გვაქვს, რომ ასეთს პოლიტიკას მოიწონებენ სხვა სახელმწიფოები.

შეერთებულმა შტატებმა ამას წინად წინადადება წარუდგინეს სახელმწიფოებს მანჯურიის რკინის გზების ნეიტრალიზაციის შესახებ. რადგან ეს პროექტი შეეხებოდა იაპონიის დიდად მნიშვნელოვან ინტერესებს და რადგან იგი წარმოდგენილი იყო ჩვენის ძველიდანვე მეგობარ სახელმწიფოსაგან, ამიტომ იაპონიის მთავრობამ ეს პროექტი ზედმიწევნით და ყოველ მხრივ განიხილა. ხოლო რადგან ამ პროექტის განხორციელებას აუცილებლად მოჰყვებოდა ძირითადი ცვლილება იმ მდგომარეობისა, რომელიც ამ ჟამად არსებობს მანჯურიაში და რომელიც დამყარებულია პორტსმუტისა და პეკინის ხელშეკრულობებზე, იაპონიის მთავრობას არ შეეძლო წმინდის გულით ხელი აეღო მანჯურიის რკინის გზაზე. ამიტომ ჩვენი მთავრობა, თავისდა სამწუხაროდ, იძულებული იყო უარი შეეთვალა ამერიკისთვის. დარწმუნებულნი ვართ, რომ შეერთებული შტატები სწორედ დააფასებენ ჩვენს პასუხს და რომ სხვა სახელმწიფოებიც სამართლიანად სცნობენ ჩვენს მოქმედებას ამ საქმეში".

## ოსმალეთი

**ოსმალეთ-საბერძნეთის ურთიერთობა.**

დეპეშებიდან უკვე ვიცით, რომ საბერძნეთის ახალმა მთავრობამ, სამხედრო კავშირისა და ხალხის მოთხოვნილებით, გადასწყვიტა, ამ მოკლე ხანში ეროვნული კრება მოიწვიოს საბერძნეთის კონსტიტუციის შესაცვლელად. თუმცა ზოგიერთი ბერძნული გაზეთი ირწმუნება, რომ მომავალი კრება ხმას არ ამოიღებს კრიტის საქმეზე და კრიტელი დეპუტატები მონაწილეობას არ მიიღებენ კრებაშიო, მაგრამ ოსმალეთის მთავრობას არა სჯერა ესა; ოსმალები ჰფიქრობენ, რომ საბერძნეთის ეროვნული კრება უპირველესად კრიტის საქმეს გადასწყვეტს და ამ კუნძულს საბერძნეთთან შეერთებულად გამოაცხადებსო. ამიტომ ოსმალეთის მთავრობა ეხლავე შესდგომია თადარიგს თავის უფლების დასაცველად.

პეტერბურგის დიპლომატთა წრეებში ხმა გავრცელებულა, რომ ოსმალეთის ფლოტი უკვე გამართა კუნძულ კრიტ'ისკენაო.

რუსულ გაზეთებს ატყობინებენ სტამბოლიდან: თუ ბოლგარულს პრესსას დავუჯერებთ, ოსმალეთი ისე ბეჯითად ემზადება საომრად, რომ გაზაფხულზე უთუოდ უნდა მოველოდეთ მის შეტაკებას ან საბერძნეთთან ან ბოლგარიასთან. ოსმალეთის მთავრობის წრეები ამბობენ, რომ მთავრობა სიფრთხილის გულისთვის ემზადება საომრად, რადგან ეშინიან, რომ საბერძნეთმა რაიმე მოულოდნელი საქმე არ გაბედოსო ოსმალეთის სამხედრო-მინისტრმა მოსთხოვა საზოგადო სამუშაოთა მინისტრს, მაკედონიაში საჩქაროთ ააშენეთ ხიდებიო.

20 იანვარს გალატის ბირჟაზე (სტამბოლში) ოსმალეთის ფასიანი ქაღალდების კურსი დაეცა, რადგან ხმა გავრცელდა, რომ საფრანგეთი და ინგლისი მეტად პესიმისტურად უყურებენ საქმესო: მათ არა სჯერათ, რომ შესაძლებელი-და იყოს მშვიდობიანობის დაცვა ბალკანეთშიო.

**ოსმალეთ-ბოლგარიის ურთიერთობა.**

ამას წინად სალონიკის სამხედრო სასამართლომ სიკვდილი მიუსაჯა რვა ბოლგარს: რაზმის უფროსს დუკატს, მის ექვს ამხანაგს და ორს მასწავლებელს გიმნაზიისას. ამ ცნობამ თურმე ძლიერ აალელვა ბოლგარები და უფრო უარესად გაამწვავა უიმისოდაც გამწვავებული ურთიერთობა ბოლგარიისა და ოსმალეთს შორის.

## სპარსეთი

**რეაქციონერების დაბრუნება.**

სპარსეთში დაბრუნდა ტახტიდან ჩამოგდებულ მამედ-ალი-შაჰთან ერთად განდევნილი ა'ადი. იგი დააპატიმრეს მეშედს ახლო და თეირანში გაგზავნეს.

რეშტში დაიჭირეს ოდესიდან საიდუმლოდ მოსული ნაშაჰარის მებუფეტე ზეინალ-ხანი. ხმა დადის, რომ ნაშაჰარს ბევრი თავისი მომხრე გაუგზავნია სპარსეთში კონტრ-რევოლიუციის მოსახდენადო. მეჯლისის დეპუტატები ძლიერ აალელვა რეაქციონერების დაბრუნებამ. მათის აზრით, ეს სულ ნაშაჰარის გაიძვერობის ეშმაკობაა; მათ წინადადება შეიტანეს მეჯლისში, რომ მამედ-ალს ჯამაგირი მოესპოს. („ზ.")

## წერილი რედ. მიმართ

ერის სიღატაკე და ყოველივე უბედურება, რომ იმ გაუნათლებლობა-უსწავლელობისაგან წარმოსდგება, ამას მტკიცება აღარა სჭირია. მრავალი კუთხე საქართველოსი და მათ შორის ქართლის უფრო მივარდნილი სოფლები ხომ ენით გამოუთქმელ სიბნელით არიან მოცულნი. მივაქცევ საზოგადოების ყურადღებას მთეგბში მცხოვრებ მთიულებსა და ოსებს. მათთვის არ არსებობს არც სკოლა, არც სამკითხველო და არც რაიმე იმგვარი დაწესებულება, რომელიც შეიძლება მალამოდ დაედვას მათ დუხჭირ ცხოვრებას. დროა, ქართველმა საზოგადოებამ ყურადღება მიაქციოს ამ ნაკლს და სიტყვით, საქმით თუ ნივთიერის დახმარებით ხელი შეუწყოს მთიულების სიბნელიდან გამოსვლას, მაშინ მაინც, როდესაც ეს უკანასკნელნი ხელგაწვდენილნი დაიარებიან და გთხოვენ: „გვასწავლეთ რამე, ჩვენც გვინდა ადამიანები გავხდეთო"

აი, სოფლები, სადანაც ისმის ასეთი ღაღადი: გარგარი, გოსტიბე, ზირთა, ტყემლოვანი, გოგოთა, ზემო-კატმანე, საქორედი, რკონი, ქვეშე, ოკვი, სათუხარლო, მერია, სამაჭალო, ვერხეული, ჩაჩუბერი, ხირიკა, სალომე, ქვემო კავრე, კატმანე (ოსების სოფლები), ძეგვი, ცხავერი, ნათლი მცემელი, ახალ სოფელი (ნადარბაზევი) და სხვ.

ყველას კარგად მოეხსენება, რომ მარტო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებას" არ ძალუძს დააკმაყოფილება ყველა ამ გვარ მოთხოვნილებისა. აქ საჭიროა უფრო ფართო, საყოველთაო თანაგრძნობა, თანაგრძნობა ფაქტიური. ვიდრე ისინი ეღირსებოდნენ სკოლას, ან სამკითხველოს, მივმართავ ყველა ქართველს, ვისაც ცოტად თუ ბევრად გული შესტკივა, თავისივე მოძმისთვის, ნუ დაიშურებს შეწირვას ძველი წიგნებისას, სხვა-და-სხვა ჟურნალებისას („მოამბე", „ჯეჯილი", „კრებული", „მოსავალი"), სასწავლო წიგნებისაა „დედაენა" პირველი და მეორე ნაწილი, „ბუნების-კარი" და სხვა, საწერ-კალამისას, რვეულებისას და სხვას. შემოწირულება მიიღება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში" (სასახლის ქუჩა, სათავად-აზნაურო შენობაში) ვასო ედილაშვილთან.

უგულითადეს მადლობას ვუძღვნი შემდეგ პირთ, რომელთაც შემოსწირეს ნივთები; ქ-ნთ ეკატერინე რევაზის ასულს გაბაშვილისას და მარიამ ესტატეს ასულს თუხარლისას („მოამბე" 13 ცალი, „ივერია" 16 ცალი, „საქართველოს კალენდარი" 1 ცალი, „ჯეჯილი" 18, ლექსები 1, „კრებული" 10, „ნაკადული" 58 ც.) ანასტასია გიორგის ასულ წერეთლისას (7 ცალი „ჯეჯილი"), კნ. ნინო სვიმონის ასულს ორბელიანისას (21 ცალი „ნაკადული"), კნ. თამარ ზაქარიას ასულს თარხნიშვილისას (11 „მოამბე"), შაქრო ნავთლუღელს („შრომის დროს ამონაკვნესი" 44 ცალი), არშაკ მერაბიშვილს (6 ცალი „მოამბე", 10 ცალი სხვა და სხვა წიგნები).

**ანნა კაპანაძისა.**

---

ბ-ნო რედაქტორო! ნება მომეცი, თქვენის გაზეთის საშუალებით გამოუცხადო ულრმესი და უგულითადესი მადლობა ექიმ ივანე გომართელს, ჩემი უსაყვარლო წამლობისათვის, ფილტვების ანთებისაგან. პირველ დაბარებისათანვე მოვიდა და ნუგეში მცა: „ნუ გეშინიან, მე აქა ვარ, მე ვიყო პასუხის მგებელი შენის ჯანმთელობისაო. და აი, აღასრულა კიდეც — დღეს ფეხზე დამაყენა.

მსახიობი ქართულ თეატრისა

**ვ. მ. გამყრელიძე.**

P. S. ვთხოვ სხვა გაზეთებს გადაბეჭდონ.


## განცხადებანი

**ექიმი ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში**

იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (6.—43)

მალიან იაფად

**ხე-ხილის ხეებს**

ყოველგვარ საუკეთესო ზამთრის ჯიშისას, მსხალსა და ვაშლს ჰყიდის ქართლის საუფლის-წულო მამული. ადრესი: ст. Ксанка, З. Ж. дороги. (3—1032—2)

**თ ი ვ ა**

პრესსში გატარებულს კარგი თივისებისას, ცალებად შეკრულს ჰყიდის ქართლის საუფლისწულო მამული 40 კაპ. ფუთს. პირობას ვაძლევთ, რომ დამპალი არ გამოდგება. ფრანკო სად. ქსანკა ვაგონებით დაკვეთილი. ადრესი: ст. Ксанка З. Ж. Дороги. (3—1033—2)




**მოითხოვეთ სწორე და მკვიდრი საათები!**

**ნუ გამოეკიდებით სხვა იაფ-ფასიან საათებს! კარგი საათი ყოველთვის კარგ ფასადა ღირს. უკანასკნელი ამბავი პარიზისა.**

ოქროს საათის ნაცვლად, რომელიც 200 მან. ღირს, გირჩევთ შეიძინოთ მამაკაცის საუცხოვო საათი 3 დასახურით— **„სეცესია"**, რომელიც ოქროს საათსა ჰგავს, რადგან ელექტრონ. საშუალ. გადაკრული აქვს 14% სქელი ოქრო. მექანიზმი ამ საათისა ნამდვ. მვეიცარ., 15 ქვიანი, იმართება 40 საათში ერთხელ. ეს საათი ნამდ. ახალ ოქროსია და დაჯილდოვებულია ოქრის მედლით და სხვა ნიშნ. **ფასი 5 მ. 25 კ.** 2 ცალი—10 მ., 4 ცალი—19 მ. 50 კ. ვინც ამ საათს ნახავს, ჰგონია 250 მან. ღირსო. ვგზავნი მემოწმებ. საათს და ვკისრულობ პასუხის-მგებლობას 10 წლით. იგზავნება ფას-დადებით და უბეღდ. გაგზავნა ბაჟით 60 კ. (ციმბირში 90 კ.) ადრესი შეიძლება ამოიჭრას და მაგრა მიეკრას კონვერტს ან ღია წერილს.

| | | |
|---|---|---|
| Парижъ PARIS | 7 | S. Strumfeld B-ard St. Marcel 76 |

**უფასოდ** ვგზავნით ახალ ოქროსს კატა ლოგს და ზამთის ბუდეს სათისთვის. წერილის გამოგზავნა შეიძლება რუსულად, დაბეჭდილ წერილს უნდა დაეკრას 10 კ. მარკა, ღიას—4 კაპ. (Метцль и К°. N 247). (8—6.—4)


---

თვის, და როგორც ადამიანის დამხმარეს მორალური მიზნის მიღწევაში.

გრძნეულად არსებულს და ზნეობრივად სავალდებულოს შორის ყოველი კავშირი შეწყვეტილია: უფსკრული, რომელიც მათ შორის არსებობს კიდევ უფრო ღრმაა, ვიდრე პლატონის მიერ იდეათა და მატერიალურ ნივთთა შორის გათხრილი. ყოველი მოქმედება, რომელიც გრძნეულ მოტივებისა ან ლტოლვათაგან გამომდინარეობს უზნეო ან არა ზნეობრივი, პირიქით ყოველი ნამდვილი ზნეობრივი აქტი სრულიად თავისუფალია გრძნეულებისაგან ან ეწინააღმდეგება მას. სიყვარულს, თანაგრძნობას, დახმარებას, თვით უდიდეს კეთილშობილების და თავგანწირულების ნაბიჯს არავითარი მორალური ღირებულება არ აქვს თუ ის ბუნებრივი მიდრეკილებისაგან გამომდინარეობს და არა მოკრძალებისაგან ვალდებულების წინაშე თავის ბუნების იძულებით და შებოჭვით აღწევს ადამიანი ზნეობრივს შემოქმედებას და არა მისი გაშლით ან ყოველმხრივად განთავისუფლებით. ეს გადაჭარბებული რიგორიზმია, რომელსაც ვერ ურიგდებოდა შილლერის პოეტური არსება და რომელიც მან ნაზი ირონიის მიზანში ამოიღო ერთს თავის პატარა ლექსში: „მოწადინებული ვარო, ამბობს ერთი მართლმორწმუნე კანტიელი, სინიდისის ქენჯნით შეწუხებული, მეგობრებს დავეხმარო, მაგრამ სავალალოდ ამას შინაგანი მიდრეკილებით ვასრულებ და ამიტომ ხშირად მღრღნის ის აზრი, რომ სათნოიანი არ ვარო", რაზედაც მგოსანი დამამშვიდებლად უპასუხებს: „სხვა საშუალება არ არის, უნდა ეცადო ისინი შეიძულო და შემდეგ ზიზღით იმოქმედო ის, რასაც ვალდებულება გიბრძანებსო".

ცხადია კანტში კიდევ სცოცხლობს ქრისტიანული უნდობლობა ადამიანისადმი, მაგრამ ეს უნდობლობა მხოლოდ მის ბუნებრივ, ფენომენალურს მხარეს ეხება. როგორც ინტელლიგიბური არსება ის პირიქით ამაღლებული, იდეალური წესწყობილების წარმომადგენელია, მორალური იდეის მატარებელი და ამასთანავე უდიდესი სიკეთე, აბსოლუტური ღირებულება. კანტის ეთიკამ არ იცის სხვა ღირებულება, რომელიც თავისუფალი, ზნეობრივი პიროვნების ფასს შეედრებოდეს ან მით უმეტესს მას სჭარბობდეს რომელიმე მხრით. არც ბედნიერება, არც სიამოვნება. არც თვით-ამ ქვეყნიური ცხოვრება არ შეიძლება ჩაითვალოს ზნეობრივი შემოქმედების უკანასკნელ მიზნად: ეს მიზანი მხოლოდ და მარტოდ შეგნებული პიროვნებაა, რომელიც თავის მხრით არასოდეს არ უნდა გარდაიქცეს მარტო საშუალებად. აქედან გამომდინარეობს კანტის მკაცრი ოპოზიცია ყოველი პოზიტივურ ევდემონიზმის, ჰედონიზმის და მოქმედების მორალის წინააღმდეგ. არა ის, რასაც აღწევს მოქმედება გარეგნულად, აძლევს მას ზნეობრივს ფასს და ღირსებას, არამედ ის, რაც მასში შეაქვს ბოროტს თუ კეთილს ნებისყოფას. არა მოქმედების ეფექტი, არა მის მიერ მოტანილი ზარალი ან სარგებლობა არის ობიექტი მორალური დადასტურებისა ან უარყოფისა, არამედ თვით ხასიათი, რომელიც აქ თვალსაჩინოდ მეტყველებს და რომელსაც დუმილითაც შეუძლია შეირჩინოს თავისი დამოუკიდებელი ღირებულება.

ყოველთვის უსრულოა ამ ქვეყნიური მორალი ბიწიერ ლტოლვათა, გრძნობათა და აფექტთა გავლენის ქვეშ და ამიტომ ეს „კეთილი ნება", ეს „ზნეობრივი პიროვნება" მხოლოდ სიკვდილის შემდეგ'ავა სათანადო სიმაღლეზე: იმ იდეალურს ყოფნაში, სადაც აღარ არსებობს ეს მუდმივი მტანჯველი კონფლიქტი გრძნეულსა და ზნეობრივს შორის, იმ თავისუფალს გონებრივს მიზანთა სამეფოში, სადაც მექანიკური მიზეზობრივი აუცილებლობა მოსპობილია, ხოლო ყოველი მატერიალური უკუგდებული, ბრძენი კანონმდებლობის და მსაჯულის შემწეობით მიაღწევს მომაკვდავი უკვდავებას, სისრულეს და ნამდვილს არსებობას. იდეალური დამთავრება სიკვდილის შემდეგ და ცხოვრება ცხოვრების იქით! აი ის დასკვნა, რომელზედაც შეჩერდა კანტის ეთიკა პლატონის და ქრისტიანობის მსგავსად.

კანტის შემდეგ კი იმ ადამიანმა, რომელიც თავის თავს მისი ფილოსოფიური ნაანდერძევის ერთად ერთ კანონიერ მემკვიდრედ სთვლიდა, არტურ შოპენჰაუერმა, უკიდურესს სოლოგიკურს შედეგამდე მიიყვანა ეს სიძულვილი ცხოვრებისადმი. მან მთელი ფენომენალური არსებობა ასწონა ეთიურად და ძლიერ მჩატედ აღიარა: ცხოვრება კიდევ ნაკლებია ვიდრე არარაობა, ის უარყოფითი რაოდენობაა. ცხოვრება სიკვდილის შემდეგ იმდენსავე ფასობს, რამდენსაც ცხოვრება სიკვდილამდე, უკვდავება უდიდესი სასჯელი და ბოროტებაა. ამიტომ უმაღლესი ზნეობრივი ვალდებულება თვით ცხოვრების ნების ყოფის აღკვეთაა, ხოლო უზენაესი სიკეთე—არყოფნა.

**გერონტი ქიქოძე.**

(შემდეგი იქნება)